ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ეპისკოპოსი იასონ ჭამალაიძე თბილისში, საკუთარ სახლში, გარდაცვლილი ნახეს



გვ.2

პარასკევი, 8 ნოემბერი, 2019 №265 (8219) ფასი: 60 თეთრი

# „მიხეილ ბატიაშვილი ია კერზაიას საქმეს შეეწირა“



გვ.3

## რომან გოცირიძე: „7 წლის განმავლობაში 65 მინისტრი შეიცვალა და აქედან 60-ის ვინაობა არავის ახსოვს“





გვ.2

## დიმიტრი შაშკინი: „ჯეჯელავა ვაშლებით მაინც დაგვამახსოვრდა, შემდეგი მინისტრების გვარებიც კი არ ვიცი“

ჩემი გამოცდილება „ოცნებისთვის“ რელევანტური არ იქნება

## გიგლა ბარამიძე: „მოვითხოვთ დავით ზალკალიანის გადაყენებას!“



გვ.3

„ამათთვის დემოკრატია მილიონების ქურდობაა“

## დავით ბრაგვაძე: „რუსეთი „დაჭრილი მხეცის“ მდგომარეობაში ვარდება“

„რუსეთი საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს არ ემორჩილება“



გვ.5



გვ.2

## შოთა მალაშხია: „ინტრიგები საპატრიარქოში ივანიშვილისგან მოდის“

„2015 წელს ვინ წარმოიდგენდა, რომ ივანიშვილს თავისი თაყვანისმცემლები გააკრიტიკებდნენ“



გვ.3

## რამაზ საყვარელიძე: „მინისტრების ხშირი ცვლა „ოცნებისთვის“ სახიფათოა“

## ბიძინა გუჯაბიძე: „გომური ფიზიკურად დაზარალებულია, მაგრამ მტკიცებულებების წარდგენა უნდა“



გვ.4

ISSN 1987-9385

2 ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი, კობა კოშაძე, პატიმრობაში დატოვეს

4 65 წლის თამარ ბადაშვილი დედოფლისწყაროში გაგუდული იპოვეს

5 ბათუმში 23 წლის ანრი მახარობლიძე მე-10 სართულიდან გადავარდა და დაიღუპა

6 მაკრონი: „ჩვენ ახლა ნატოს ტვინის სიკვდილს ვუყურებთ“

# დიმიტრი შაშკინი: „ჯეჯელავა ვაშლებით მაინც დაგვამახსოვრდა, შემდეგი მინისტრების გვარებიც კი არ ვიცი“

## ჩემი გამოცდილება „ოცნებისთვის“ რელევანტური არ იქნება

იაგო ნაცვლიშვილი

განათლების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი თანამდებობიდან გადადგა. შესაბამისად, გაურკვეველი რჩება, რა ბედი ელის რამდენიმე თვის წინ მის მიერ დაანონსებულ განათლების რეფორმის კონცეფციას. ბატიაშვილმა ეს რეფორმა წინა პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან ერთად დააანონსა, რომელმაც მთავრობის მეთაურის პოზიცია დაახლოებით 2 თვის წინ დატოვა. შესაბამისად, რეფორმის წარმდგენი ორივე მთავარი პირი დღეს უკვე მის მიღმაა.

რა ბედი ელის რეფორმას, რას შეიძლება უკავშირდებოდეს ბატიაშვილის გადადგომა და რით დაგვამახსოვრა საზოგადოებას თავი მიხეილ ბატიაშვილმა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განათლების ყოფილი მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** საუბრობს.

***– თქვენი აზრით, რას უკავშირდება განათლების მინისტრის გადაყენება თუ გადადგომა და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მის მიერ დაწყებული რეფორმა ამით დასრულდა?***

– ძალიან რთული შეკითხვაა. თქვენის ნებართვით, თქვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე შეკითხვითვე გიპასუხებთ. თუ შეგიძლიათ, დამისახელოთ ის რეფორმა, რომელიც დაიწყო?

***– თვითონ რეფორმა დაარქვეს და ამას ვეყრდნობი, როდესაც რეფორმას ვუწოდებ, თორემ არ მაქვს საფუძველი ვთქვა, რომ რეფორმაა ან არ არის რეფორმა.***

– თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით, გაქვთ წვდომა წყაროებთან და გარკვეულ ინფორმაციას ფლობთ. თუ დამისახელებთ, რა რეფორმაზე ვსაუბრობთ საერთოდ, ბოლო 7 წლის განმავლობაში რაც გატარდა განათლების სამინისტროში, მაშინ სიამოვნებით გიპასუხებთ. პრინციპში, საზოგადოებასაც რომ ჰკითხოთ, ერთადერთი ვიღაცამ რაღაცით რომ გაიხსენოს, ეს არის ჯეჯელავა და მისი ვაშლები.

2012 წლის შემდეგ სხვა რეფორმა არ გამიგია. მე გამიგია უზარმაზარი ფულის მოპარვები განათლების სამინისტროში, საზოგადოებასაც გაუგია ეს. საზოგადოებას გაუგია ისიც, რა პრემიები და დანამატები რიგდება ამ სისტემაში. ცხადია, ამაში სკოლებს არ ვგულისხმობ და ვგულისხმობ განათლების სამინისტროს, როგორც ინსტიტუციას, თორემ სკოლებამდე ეს ფული არ მიდის. ეს ყველაფერი ჩვენ ყველას გაგვიგია და, თუ მეტყვით, რა რეფორმა დაიწყეს, გარდა ერთხელ დარიგებული ვაშლებისა, მაშინ ძალიან დიდ მადლობას გეტყვით იმისათვის, რომ იქნებ ჩემი ცოდნაც ამაღლდეს.




***– ანუ მიიჩნევთ, რომ რამდენიმე თვის წინ რაც წამოიწყეს, ისედაც ჩავარდნილი იყო?***

– 7 წლის განმავლობაში, 2012 წლიდან მოყოლებული, „ქართული ოცნება“ ძალიან მონდომებით ანგრევს ყველაფერს, რაც გაკეთდა განათლების სისტემაში. ამ სისტემაში გასაკეთებელი ნამდვილად ბევრი რამე იყო, მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ გაეგრძელებინათ, მისი დანგრევა დაიწყეს. თუ არ გააგრძელებდნენ, ისიც კარგი იქნებოდა, რომ არ დაენგრიათ მაინც. მაგრამ, ვხედავთ, რომ ყველაფერს ანგრევენ. არც კი ვიცი, რა გითხრათ!

ამბობენ, რეფორმა დავიწყეთო. მაისურებს იცვამენ, ამ მაისურებზე აწერენ რეფორმას და იქნებ ვინმემ მითხრას, რა გააკეთეს?!

***– მათ წარმოგვიდგინეს კონცეფცია, კეთდებოდა თუ არ კეთდებოდა, რამდენად იყო ის კონცეფცია რეფორმა, რამდენად კეთდებოდა საქმე, სხვა საკითხია, მაგრამ ის ფაქტი, რომ მინისტრი, რომელმაც ეს წამოიწყო და თანამდებობიდან მიდის, ნიშნავს თუ არა იმას, რომ თვითონვე ხელი ჩაიქნია?***

– მე არ ვიცი დეტალები. თვითონ წავიდა მინისტრი, უკეთეს ადგილას წავიდა, გაუშვეს თუ რა მოხდა, ეს დეტალები ჩემთვის უცნობია და გამიჭირდება ამაზე პასუხი. მე შემიძლია, შევაფასო კონტენტი. მე შემიძლია ვთქვა ის, გაკეთდა რამე თუ არა. ამას ვამბობ ზედმეტი პოლიტიკური კონტექსტის გარეშე. მართლა არ ვიცი, რა გაკეთდა განათლების სისტემაში ბოლო 7 წლის განმავლობაში. მართლა არ ვთვლი, რომ ვაშლების დარიგება რეფორმა იყო. მას კი ეძახიან რეფორმას, მაგრამ ამასაც ვთვლი, რომ არასწორი იყო და საზოგადოებამ სწორად დასცინა ჯეჯელავას ამის გამო. მაგრამ ჯეჯელავამ ვაშლებით მაინც დაგვამახსოვრა თავი. ჯეჯელავას შემდეგ ვინ იყო მინისტრი, ზოგის გვარიც კი არ მახსოვს. რეფორმა ფასდება ძალიან მარტივად.

მე სხვადასხვა ქვეყანაში ვმუშაობ და ვეხმარები განათლების მინისტრებს. როდესაც მათ ვხვდები, ვეუბნები, გამარჯობა, მე მქვია დიმიტრი შაშკინი და გავაკეთე ეს, ეს და ეს.

მე ვიყავი მინისტრი 2009-2012 წლებში. მე დავამყარე წესრიგი სკოლებში, ჩემ დროს მოსახლეობის 72% ამბობდა, ჩვენი სკოლა აბსოლუტურად დაცული და უსაფრთხოაო. მე ვიყავი მინისტრი, რომლის დროსაც მე-11 და მე-12 კლასელები დადიოდნენ სკოლაში და დაიწყეს სწავლა. მე ვარ მინისტრი, რომელმაც დაიწყო მასწავლებლების სერტიფიცირების პროცესი და დავტოვე სერტიფიცირებული მასწავლებლები, რომელთაგან ზოგს 1000 ლარამდე ხელფასი ჰქონდა. მე ვიყავი მინისტრი, რომლის დროსაც დაიწყო ინგლისური ენის პროგრამა, რა დროსაც ათასობით მოხალისე ჩამოვიყვანეთ და ჩვენს ბავშვებს ვასწავლიდით. ჩემი მინისტრობის დროს წავიდნენ ქართველი ახალგაზრდები სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთის ნაწილში, სადაც ეთნიკურ უმცირესობებს ასწავლიდნენ ქართულ ენას და ქართული ენის სახლები შენდებოდა.

მე ვიყავი მინისტრი, რომელმაც დანერგა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, გააჩერა სახელმძღვანელოებზე ფასების ზრდა და ა.შ. შემიძლია, ძალიან ბევრი მაგალითი მოვიყვანო კიდევ. მე მაინტერესებს, ამ მინისტრებმა, რომლებიც მოდიან და მიდიან, შეუძლიათ, ერთი რამე დაასახელონ, რაც გააკეთეს, გარდა ჯეჯელავას ვაშლებისა?!

***– ჩამოთვალეთ განათლების მინისტრობისას თქვენ მიერ გაკეთებული საქმეები და თუ ხართ მზად, დახმარება გაუწიოთ რჩევების დონეზე, სურვილის შემთხვევაში?***

– ვის გავუწიო?

***– მაგალითად, ახლა ვინც დაინიშნება მინისტრად.***

– არა, იმიტომ, რომ მე ფულის მოპარვა არ ვიცი, „პატკატები“ და მავნებლობა არ ვიცი. აქედან გამომდინარე, ჩემი გამოცდილება მათთვის რელევანტური არ იქნება.

***– ის განწყობა გაქვთ, რომ ახალი მინისტრიც ასეთი იქნება?***

– თქვენ გაძლევთ რამე საფუძველს იმისას, რომ იფიქროთ, თითქოს ასე არ იქნება?!

***– არ ვიცი.***

– 7 წელი გავიდა და 5 მინისტრი ხომ შეიცვალა, თუ ვცდები? რამე ტენდენცია გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ რაღაც უკეთესი იქნება განათლების სისტემაში ამ ხელისუფლების პირობებში?! მე არ მაძლევს. შეიძლება, ვცდები, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია და ხალხმა განსაჯოს.

***– მე მაინც მინდა, რომ ოპტიმისტი ვიყო და აქედან გამომდინარე ვსვამ ამ კითხვას.***

– კარგია, მაგრამ ყოველთვის პესიმისტია კარგად ინფორმირებული ოპტიმისტი.

***– თქვენ, პირადად, ბატიაშვილის გადადგომას რას უკავშირებთ და ხომ არ გგონიათ, რომ ეს გაკეთდა იმისათვის, რომ რაღაცნაირად გადაეფარათ ეკლესიის სკანდალი?***

– ვერ გეტყვით. ბატიაშვილი არ იყო ის ფიგურა მთავრობაში, რომელიც რამე პოლიტიკურ ცოდნას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, არა მგონია, რომ ამ მიზნით გაკეთებულიყო ეს ცვლილება. რა მიზანი ჰქონდათ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ, მე არა მგონია, ამით მოხერხდეს ამ თემის გადაფარვა. ამას სჭირდება აბსოლუტურად სხვა პოლიტიკური წონის ფიგურა, რათა ამ გადაფარვის პოტენციალი იყოს. მე არ ვამბობ, რომ გადაიფარება, მაგრამ პოტენციალი ხომ მაინც უნდა ჰქონდეს იმისა, რომ ეკლესიის სკანდალის თემა გადაიფაროს. ბატიაშვილს კი არ ჰქონდა პოლიტიკური კაპიტალი.

# შოთა მალაშხია: „ინტრიგები საპატრიარქოში ივანიშვილისგან მოდის“

## „2015 წელს ვინ წარმოიდგენდა, რომ ივანიშვილს თავისი თაყვანისმცემლები გააკრიტიკებდნენ“

მარიამ მჭედლიშვილი



ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.

**შოთა მალაშხია:**

– საპატრიარქოში ხდება დაახლოებით იგივე, რაც მანამდე დატრიალდა სახელმწიფო სტრუქტურებში. ივანიშვილის ხელში, რუსეთის დავალებით, ყველა სახელმწიფო სტრუქტურა განადგურდა. ისინი, ფაქტობრივად, მოშლილია. ივანიშვილი ამ ფონზე ანადგურებს ღირებულებით სტრუქტურებსაც. ის, რაც საპატრიარქოში ხდება, მისი გაკეთებულია.

***– „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ პეტრე ცაავას უკან სააკაშვილი დგას.***

– დავუშვათ, ეს ასეა. მაშინ ციანიდის საქმისა და მეუფე იაკობის უკან ვიღა დგას? მეუფე იაკობი ნაცმოძრაობასთან არასდროს ყოფილა. პირიქით, დაპირისპირებული იყო.

მან განაცხადა, რომ კვირიკაშვილის კაბინეტში, სადაც მასთან ერთად იმყოფებოდნენ გახარია და გომელაური, იგეგმებოდა პატრიარქის გადაყენება. ციანიდის საქმეში „ოცნება“ თავის ტყუილებსა და ინტრიგებში თვითონ გაიხლართა. კვირიკაშვილმა გვამცნო, რომ ქვეყანა გადარჩა, რომ უნდოდათ პატრიარქის მოწამვლა. მერე გვითხრეს, რომ შორენა თეთრუაშვილის მოწამვლა იგეგმებოდა.

ინტრიგები საპატრიარქოში ივანიშვილისგან მოდის. სამწუხაროდ, ამ საეკლესიო ინსტიტუტში ყველაფერი რიგზე ვერ არის, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

***– საპატრიარქოში მოვლენების განვითარებას კიდევ ელით?***

– საპატრიარქოში არიან პატიოსანი სასულიერო პირები, რომლებიც ხმას ამოიღებენ. იმათ გარდა, ვინც რუსულ სპეცსამსახურებთან არის შეკრული ან მამათმავალია, არსებობენ ჯანსაღი ადამიანები. ისინი ფლობენ ინფორმაციას და ასეთები ჩირქგროვას არ დატოვებენ. ზოგადად, ქვეყანაში ახლანდელი მდგომარეობა ვერ შენარჩუნდება.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– ქუჩაში ნებისმიერი ადამიანი რომ გააჩერო, ყველა საღად შეაფასებს სიტუაციას და იტყვის, რომ „ქართული ოცნება“ ივანიშვილის ხელმძღვანელობით ანგრევს ქვეყანას. ასე ლაპარაკობს ყველა, ვისაც ივანიშვილის ჯიბეში არ აქვს ხელი ჩაყოფილი.

***– არჩევნები მოდის და შეიძლება, სხვებსაც მოუნდეთ ივანიშვილის ჯიბეში ხელის ჩაყოფა.***

– ივანიშვილი ბოლომდე დისკრედიტებულია, იმდენად უზნეო ადამიანი, რომ მასთან გარიგდეს, ძალიან ცოტაა. ბიძინა ივანიშვილს ეს რაოდენობა არ ეყოფა, რომ რაღაცას მიაღწიოს. ივანიშვილი ასრულებს რუსეთის დავალებებს. რუსეთში ხვდებიან, რომ მისგან ხეირი აღარ ექნებათ და ფიქრობენ მის ჩანაცვლებაზე.

ეს კაცი, რომელსაც გაზპრომში უზარმაზარი ანუ 1%-იანი წილი ჰქონდა, რუსებს აღარ სჭირდებათ. ამისთანა დიდი წილი, ივანიშვილის გარდა, მხოლოდ ლუჟკოვის ცოლს ჰქონდა. 2013 ან 2015 წელს ვინ წარმოიდგენდა, რომ ისინი, ვინც ივანიშვილს თაყვანს სცემდნენ, მის გაკრიტიკებას დაიწყებდნენ.

***– „ოცნებიდან“ გამოსულებზე საუბრობთ?***

– რასაკვირველია. ეკა ბესელიას ოპოზიციონერობას ვინ წარმოიდგენდა! ეკა ბესელია და სხვა მეამბოხეები მორალურად ივანიშვილზე ბევრად მაღლა დგანან. ამ კაცმა ყველგან თავისი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი, კობა კოშაძე, პატიმრობაში დატოვეს

გუშინ, 7 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრის, კობა კოშაძის სასამართლო პროცესი გაიმართა.

დაცვის მხარის მოთხოვნა გირაოს შეფარდებასთან დაკავშირებით მოსამართლე ლევან გელოვანმა არ დააკმაყოფილა და კოშაძე პატიმრობაში დატოვა.

საქმის პროკურორმა კობა კოშაძის პატიმრობაში დატოვების მიზეზები განმარტა.

– მის მიერვე ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე და ასევე არსებობს მიმალვის საფრთხე, ვინაიდან მას ბრალად ედება განზრახ მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, – განაცხადა პროკურორმა ალექსანდრე ჩხეიძემ.

კობა კოშაძის ადვოკატი ამბობს, რომ სასამართლო დაეთანხმა დაცვის მხარის პოზიციას, რომ ექსპერტიზამ კოშაძის შეხება საქმეში არსებულ იარაღთან ვერ დაადგინა, თუმცა აღკვეთის ღონისძიება ბრალდებულს არ შეუცვალა.

– ამ იარაღის სხვა დანაშაულთან კავშირი და ვინმე სხვა პირებთან კავშირი არ გვაქვს, მაგრამ, როგორც წესი, ძალაში დატოვა იმიტომ, რომ კი არის ის ახალი გარემოება, მაგრამ არ არის ისეთი არსებითი, რომ აღკვეთის ღონისძიება შევუცვალოთო, – განაცხადა კოშაძის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა.

კომენტარი გააკეთა „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ ჩალაგაშვილმა.

– პირველად საქართველოს ისტორიაში მოსამართლემ თქვა, რომ უნდოდა მიეღო სხვა რამ, მაგრამ აძალებდნენ. ამიტომ იყო, რომ ერთი საათით გვიან შემოვიდა დარბაზში, ამიტომაც იყო, რომ არ შემოუშვა მთავარი არხი, ამიტომ არის ის, რაც მიიღო დღევანდელ დღეს. დღეს გელოვანმა და ჩხაიძე იყო, თუ არ ვცდები, პროკურორი, ამ ორმა ადამიანმა და მათმა ზედამხედველებმა ძალიან მარტივად გაწირეს ის 4 პოლიციელი, რომლებმაც არ თქვეს სიმართლე, – თქვა გურამ ჩალაგაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი კობა კოშაძე იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

# ეპისკოპოსი იასონ წამალაიძე თბილისში, საკუთარ სახლში, გარდაცვლილი ნახეს

ეპისკოპოსი იასონ წამალაიძე თბილისში, საკუთარ სახლში, გარდაცვლილი ნახეს. გარდაცვლილი სინოდის ყოფილი წევრის, ქრისტეფორე წამალაიძის შვილია.

გარდაცვლილის მამა, ქრისტეფორე წამალაიძე, ქართული ეკლესიიდან განკვეთილი სასულიერო პირია. მას სინოდთან დაპირისპირების გამო 1995 წელს მღვდელმსახურების უფლება აეკრძალა და წმინდა სინოდიდან გარიცხეს.

ქრისტეფორე წამალაიძის გვარმა ბოლოს მეუფე ზოსიმეს წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზე გაიჟღერა. ყოფილი სასულიერო პირი მამა ზოსიმეს წინააღმდეგ აგორებულ სკანდალში დაადანაშაულეს.

ქრისტეფორე წამალაიძე სინოდის წევრების მხრიდან მუქარაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ასეთი დამთხვევები არ არსებობს და მას ხმაურიანი განცხადებების გამო მღვდელმთავრები ემუქრებოდნენ.

– ჩვეულებრივად იყო, კვირას ჩვენთან ჩავატარეთ წირვა, მერე გავიდა ზიარებაზე. დილით 7-ის ნახევარი იქნებოდა, ოთახიდან ტუალეტში რომ გავიდა, ჩაიკეცა, სანამ სასწრაფო მოვიდა, გარდაიცვალა.

ჩვენ წინააღმდეგ დიდი ხანია, ბრძოლა დაწყებულია, ეკლესიის მსახურები და სინოდის წევრები არ ისვენებენ წლებია და ჩვენ გვემუქრებიან ეკლესია და სინოდის წევრები, – აღნიშნა ეპისკოპოსმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მიხეილ ბატიაშვილი ია კერზაიას საქმეს შეეწირა“

## რომან გოცირიძე: „7 წლის განმავლობაში 65 მინისტრი შეიცვალა და აქედან 60-ის ვინაობა არავის ახსოვს“

ნონა ცაბაძე

განათლების, სპორტისა და კულტურის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა თანამდებობა დატოვა. მისი წასვლის შესახებ კულუარებში დიდი ხანია საუბრობენ. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ბატიაშვილმა თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა, რასაც არ იზიარებს ოპოზიცია და ბატიაშვილის გადადგომასა და ია კერზაიას საქმეს შორის პირდაპირ კავშირს ხედავს.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ია კერზაიას შვილმა ბაჩანა შენგელიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ პროცესი წამოიწყო. სტრასბურის სასამართლომ ეს საქმე წარმოებაში მიიღო.

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით **რომან გოცირიძეს** ესაუბრა.

***– ბატონო რომან, გახარია აცხადებს, რომ ბატიაშვილი საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა თანამდებობიდან, რაც საზოგადოებას არ სჯერა. რატომ გაუშვეს ბატიაშვილი?***

– რა თქმა უნდა, გაათავისუფლეს, იმიტომ რომ, ფაქტობრივად, იგი იყო მთავარი დარტყმის ობიექტი ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. უტყუარი ფაქტები დაიდო, რომ განხორციელდა რეპრესია განათლების სამინისტროს მიერ და ასევე აშკარაა, რომ მასზე ზემოქმედებას ახდენდა შს სამინისტრო, რომელიც კურირებდა საარჩევნო პროცესს სამეგრელოში.

***– ეს პროცესი სტრასბურის სასამართლომ დააჩქარა?***

– დიახ, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ უკვე მიიღო ეს საქმე, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ განხილვის პროცესში მთავარი დარტყმა მიმართული იქნებოდა მოქმედ მინისტრზე და, აქედან გამომდინარე, განარიდეს იგი, როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირი და როგორც შესაძლო დამნაშავე.

***– რა, ასე აიცილებენ პასუხისმგებლობას?***

– რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობას ვერ აიცილებენ, ის გადადის უკვე ყოფილი მინისტრის რანგში, მოქმედი მინისტრი აღარ იქნება და ეს ხელისუფლებისთვის სასარგებლოა, მაგრამ მეორე პასუხისმგებელი პირი, გიორგი გახარია, შს მინისტრი კი არა, უკვე პრემიერ-მინისტრია.

ია კერზაიას საქმე, რომელიც არ იქნა გამოძიებული ხელისუფლების მხრიდან, ასე ადვილად არ მიჩუმათდება და აუცილებლად დადგება ის დრო, როცა ეს საქმე იქნება სამართლიანად და ობიექტურად გამოძიებული ახალი ხელისუფლების პირობებში.

ასევე სტრასბურის სასამართლო დაადასტურებს, რომ ამ ქვეყანაში კანონდარღვევით წარიმართა გამოძიება.

ბატიაშვილის გადაყენების მთავარი მიზეზი ეს იყო, თუმცა მიზეზი უამრავია.

***– კიდევ რა მიზეზებზე საუბრობთ?***

– თუნდაც წარუმატებელი პროცესები განათლების სამინისტროში. ბევრი ცუდი რამ მოხდა, განსაკუთრებით კი სწავლების ხარისხის დაქვეითება და ის ინიციატივები, რომლებიც მინისტრს ჰქონდა. ასევე სერიოზული პრობლემაა ის, რომ უნივერსიტეტების აკრედიტაციებმა გადაიწია 2020 წლის ბოლომდე. ორ ათეულ უნივერსიტეტს ავტომატურად გაუგრძელდა აკრედიტაცია. ბუნებრივია, რომ სტანდარტების შერბილება აუცილებლად იმოქმედებს სწავლების ხარისხზე.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ კულტურის სამინისტრო ცალკე გადის, გამოეყოფა განათლების სამინისტროს. ამაზე რას იტყვით?***

– დიახ, კულტურა და განათლება იყოფა შუაზე და კულტურის მინისტრად ნიშნავენ ვიღაც მაისურაძეს. აბსოლუტურად უაზრობაა კულტურის სამინისტროს გამოყოფა განათლების სამინისტროსაგან.

***– რატომ არის უაზრობა. სულ იყო საუბარი, რომ ერთი მინისტრი ვერ ართმევს თავს სამ გაერთიანებულ სამინისტროს.***

– ისედაც ცალ-ცალკე იყვნენ, უბრალოდ,



სახელი ჰქონდათ ერთიანი. ამით ისევ დაიწყება უკუპროცესი. ახლა დაიწყება საუბარი და ლობირება, რომ ენერგეტიკის სამინისტროს გამოყოფაც მოხდეს, არადა, ენერგეტიკის სამინისტრო არის მკვდარი სამინისტრო, არასდროს არანაირი ფუნქცია არ ჰქონია, ვინაიდან ენერგეტიკაში მოქმედებენ ცალკე მარეგულირებლები, რომლებიც ადგენენ თამაშის წესებსა და ტარიფებს.

შემდეგ ვიღაცა გამოხტება და იტყვის, რომ ბუნების დაცვა მნიშვნელოვანია და სათანადო ყურადღება არ ექცევა, მერე გარემოს დაცვის სამინისტრო გამოეყოფა და ასე გაგრძელდება, იქნება შეერთება-დაშლა და აწეწილი მართვის სტრუქტურა. სამინისტროების გამოყოფა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელი ადამიანის გამინისტრება მოუნდება პრემიერ-მინისტრს.

ეს არავითარ კავშირში არ არის ქვეყნის სწორ მართვასთან.

***– ვინ ინიშნება განათლების მინისტრად?***

– არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სახელსა და გვარს. ყველა მინისტრი ერთმანეთს ჰგავს ინკუბატორის თეთრი წიწილებივით. ვერ განასხვავებ, მათი მთავარი ნიშანი არის მორჩილება, ვინც უფრო კარგად დაემორჩილება ამ ერთმმართველობისა და არაფორმალური მმართველობის წესებს, იმას დანიშნავენ მინისტრად.

65 მინისტრი შეიცვალა ამ 7 წლის განმავლობაში და აქედან 60-ის გვარს ვერავინ დაიმახსოვრებს. თუკი ვინმეს გვარი ახსოვთ, ისიც იმიტომ, რომ რამე სკანდალთან არის დაკავშირებული. დადებითი კუთხით ვერც ერთ მინისტრს ვერ გაიხსენებ. მინისტრები მიდიან და მოდიან, ხოლო მდგომარეობა იმაზე უარესია, რაც მანამდე იყო.

ე.წ. ახალი სახეები არაფერს ცვლიან, პირიქით, უფრო და უფრო უარესდება კლასი და ჩნდება შეკითხვა – ნეტა სად მოძებნეს ეს ადამიანები?!

***– ბატიაშვილი წარუმატებელი მინისტრი იყო?***

– რა თქმა უნდა. ისევე, როგორც დანარჩენი მინისტრები. ჰყოლია ამ მთავრობას წარმატებული მინისტრები?! არა!

***– სტრასბურმა ისე შეაშინა ხელისუფლება, რომ ამის გამო გაუშვეს განათლების მინისტრი?***

– რა თქმა უნდა! ია კერზაიას საქმე არ იყო გამოძიებული ხელისუფლების მხრიდან სათანადოდ და სტრასბურში ეს ხელისუფლება აუცილებლად წააგებს! ამის შემდეგ უკვე ძალიან სერიოზული პროცესები წავა და სტრასბურის გადაწყვეტილების შედეგები განაპირობებს უკვე იმ ადამიანების ბედს, რომლებმაც ხელი დააფარეს ამ დანაშაულს.

ეს საკითხები მრავალი წლის განმავლობაში იქნება მსჯელობის საგანი – რატომ არ მოხდა ობიექტური გამოძიება, ვის ინტერესებში იყო ეს, ვინ დაავალა წინასაარჩევნოდ სკოლების ინსპექტირება, რა მიზანი ჰქონდა ამ ყველაფერს, რომელმაც შეიწირა ღირსეული ქალბატონი!

ასევე იქნება მაჩალიკაშვილის საქმე, რომელიც ჩამოშლის ამ ხელისუფლებას და ყველაფერს თავზე დაამხობს.

სადაც ამ ხელისუფლების დანაშაული იკვეთება, არც ერთ საქმეს არ იძიებენ. ყველგან მაღალი თანამდებობის პირების დანაშაული იკვეთება. სწორედ ამიტომაა, რომ პარლამენტში საგამოძიებო კომისიას არ ქმნიან.

# გიგლა ბარამიძე: „მოვითხოვთ დავით ზალკალიანის გადაყენებას!“

## „ამათთვის დემოკრატია მილიონების ქურდობაა“

მარიამ მჭედლიშვილი



„ახალი თაობა“ რამდენიმე საკითხზე ესაუბრა „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერ **გიგლა ბარამიძეს.**

***– მმართველ პარტიასთან დაახლოებული ექსპერტები აცხადებენ, რომ დაპირებული გასაოცარი დემოკრატია დამყარებულია. ამის ერთ-ერთ მაგალითად მათ მოჰყავთ ის, რომ შესაძლებელია საპატრიაქროს კრიტიკა.***

– სადაა დემოკრატია? დემოკრატია კი არა, მმართველი პარტიაც არ არსებობს. არის ერთ ადამიანზე ჩამოკიდებული უმაქნისთა გუნდი. ეს გაქსუებული ხალხი მუდმივად სისულელეებსა და ტყუილებს ლაპარაკობს.

საპატრიარქოზე მოგვიანებით ვიტყვი. ამათ რომ ჰკითხო, ჩვენს დროს მიწები არ დაკარგულა. ამით მოაქვთ თავი. არადა, ბორდერიზაციას ბოლო არ უჩანს, ხოლო საზღვრებზე შექმნილი მდგომარეობა ბუნდოვანია.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– საზღვრის ბევრ მონაკვეთზე გვაქვს გაურკვეველი სიტუაცია. ყველაზე აქტუალურად ამჟამად დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან ანუ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობა მიგვაჩნია. საგარეო საქმეთა მინისტრს საკუთარი ჩრდილის ეშინია, ხმას ვერ იღებს. არ ვიცით, რას აკეთებს შესაბამისი სადემარკაციო-სადელიმიტაციო კომისია.

***– მიმართეთ და ინფორმაცია დამალეს?***

– სიტყვიერად მივმართე. თუ საზღვრის ამ მონაკვეთის საკითხზე ხელისუფლება უახლოეს ხანში ინფორმაციას არ მოგვაწვდის, მოვითხოვთ დავით ზალკალიანის გადაყენებას. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ კომისია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დადგენის საკითხში არ იცავს საქართველოს ინტერესებს.

***– საპატრიარქოზე ორგანიზებული შეტევებია?***

– ბოლშევიკების პერიოდს არ ვეხები და ასეთი ორგანიზებული თავდასხმები ეკლესიაზე არც კომუნისტების დროს ყოფილა, არც გამსახურდიას, შევარდნაძისა და სააკაშვილის პრეზიდენტობისას.

ამის მოთავე არის ივანიშვილი და „ქართული ოცნება“. დაახლოებით ორი წლის წინ ინტერვიუში გამოვთქვი მოსაზრება ციანიდის საქმეზე. მაშინ აღვნიშნე, რომ კვირიკაშვილი ციანიდის თემაზე ბოდიალობდა. აჰკიდეს ყველაფერი დეკანოზ მამალაძეს და ამით დამთავრდა ყველაფერი, საზოგადოებაში კი უნდობლობა დაიბადა.

***– იგივე ექსპერტები ამბობენ, რომ პოლიტიკური პარტიები დემოკრატიულ გარემოში იმყოფებიან – არჩევნებისთვის ნულოვანი ბარიერიც აქვთ და საკუთარი პარტიული ტელევიზიებიც.***

– ეს თავხედური ტყუილია. ჩვენ, „ერთიან საქართველოს“, არც ტელევიზია გვაქვს, არც ინტერნეტგამოცემა და არც ფული. დაფინანსება მოგვიხსნეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რამაზ საყვარელიძე: „მინისტრების ხშირი ცვლა „ოცნებისთვის“ სახიფათოა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, განათლების ყოფილი მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი გადადგა. წინასაარჩევნოდ ხელისუფლებისთვის რამდენად არის მომგებიანი მინისტრთა კაბინეტის ცვლილება, მით უფრო, როდესაც ერთი წელია არჩევნებამდე დარჩენილი? ცვლილებები გაგრძელდება?***

– არჩევნების წელს ხელისუფლების თითქმის ყველა მოქმედება არჩევნების კონტექსტში აღიქმება. არჩევნებამდე არც კი არის დარჩენილი ერთი წელი და ამ დროს მინისტრების ცვლილებას ამომრჩეველი აღიქვამს, როგორც ცუდის, ხარვეზის გამოსწორებას. ეს პირდაპირი გზავნილია. ხელისუფლების ხარვეზიანობის გაფორმება ხდება.

ამ მხრივ მინისტრთა კაბინეტის ცვლილება შეიძლება დამაზიანებელიც კი იყოს ხელისუფლების იმიჯისთვის, თუმცა ამ მედალს მეორე მხარეც აქვს. მეორე მხრივ, თუკი ცვლილება ოდნავ მაინც რამე სიკეთეს მოიტანს, ან უკეთესი კადრით შეიცვლება, ან ისეთი ნაბიჯი იქნება გადადგმული, ამან შეიძლება გარკვეული დივიდენდი მოუტანოს ხელისუფლებას.

ასეთ ფაქტებს ადამიანები დადებით მოვლენად აღიქვამენ ხოლმე, თუმცა საარჩევნო წელს ხელისუფლების მხრიდან ასეთი მკვეთრი მანევრი, როგორიც საკადრო პოლიტიკის გადახედვაა, მე ვიტყოდი, ძალიან საფრთხილო თემაა, თუ, რასაკვირველია, მინისტრთა კაბინეტის აბსოლუტური უმრავლესობის გადახედვა მოხდება.

***– მოხდება?***

– სიმართლე გითხრათ, დიდად არ ველოდები. ვიღაცები კიდევ შეიძლება შეიცვალონ, როგორც ამბობენ, გაერთიანებული სამინისტრო ისევ იყოფა.

***– ამბობენ, რომ კულტურისა და სპორტის სამინისტრო ისევ გამოიყოფა და მას შეიძლება ოპერის მომღერალმა ბადრი მაისურაძემ უხელმძღვანელოს.***

– დიახ, ასეთი ინფორმაციაც ვრცელდება, თუმცა არჩევნებამდე ერთი წელიც აღარ არის დარჩენილი და ამ დროს მცირე მთავრობის მოტივით შემცირებული სამინისტროების რიცხვის კვლავ გაზრდა რომ მოხდეს, არა მგონია, დიდად მომგებიანი იყოს ხელისუფლებისთვის, მისი იმიჯისთვის.

არჩევნების წელს ხელისუფლებამ, როგორც იტყვიან, დანის წვერზე უნდა იაროს.

***– ამომრჩეველზე მსგავსი გადაწყვეტილებები პირდაპირ თუ ირიბად მაინც მოქმედებს?***

– მოქმედებს. ეს იცის კარგად პოლიტიკურმა ჯგუფმა და მსგავს ნაბიჯებს მიმართავს ხოლმე სწორედ საარჩევნოდ.

***– 2020 წლის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია. რამდენად არის მოსალოდნელი წინასწარ გაუთვლელი რამ, რამაც შეიძლება არჩევნების ბედი გადაწყვიტოს, როგორც 2012 წელს ციხის კადრებმა გადაწყვიტა მაშინდელი არჩევნების ბედი?***

– ძალიან საინტერესო საკითხია. თქვენ სავსებით სწორად გაამახვილეთ ყურადღება, როდესაც აღნიშნეთ – გადამწყვეტი არჩევნები. დიახ, სწორედ ასეთ დროს არის ხოლმე მოსალოდნელი გაუთვლელი, მოულოდნელი, რომ ვერც კი წარმოიდგენ, ვერც კი უშვებ, ისეთი რამ მოხდეს.

***– ასეთ რაღაცებს შეუძლია გადაწყვიტოს თუნდაც არჩევნების ბედი?***

– როგორ არ შეუძლია, დიახ, შეუძლია! მე მახსოვს, ზვიად გამსახურდიას არჩევნები როდესაც იყო, წინა ღამეს ტელევიზიით გამოვიდა მის წინააღმდეგ განწყობილი ორი პოლიტიკოსი და ხალხს მოუწოდა, რომ ზვიად გამსახურდიასთვის ხმა არ



მიეცათ. ამ გამოსვლამ სრულიად საპირისპიროდ იმოქმედა. ხალხმა ჩათვალა, რომ გამსახურდიას გამარჯვებას შეიძლებოდა საფრთხე დამუქრებოდა, ამიტომ არჩევნებზე გამსახურდიას სასარგებლოდ მოსულთა რაოდენობა 10%-ით გაიზარდა.

ასეთი რამე ხდება ხოლმე და მსგავსი რაღაცაც კი ახდენს გავლენას არჩევნებსა და მის შედეგებზე.

ნებისმიერი ემოცია ძალიან დიდ გავლენას ახდენს. თქვენ მიერ ნახსენები მაგალითი, ციხის კადრები, თავისი ემოციურობით იყო გავლენის მატარებელი. რასაკვირველია, რაციონალურადაც სრულიად მიუღებელი რამ ხდებოდა, მაგრამ საარჩევნო თვალსაზრისითაც გათვლილი იყო ისეთი დრო, რომ ემოცია მომწიფებულიყო, რათა შედეგი მიღებულიყო.

ამიტომ აქვს დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა. უფრო ადრე თუ იქნებოდა ეს კადრები გამოვლენილი და გაშვებული, შეიძლება, არჩევნების შედეგებზე გავლენა ვერ მოეხდინა, რადგან ემოცია ადვილად ქრება.

***– 2020 წლის არჩევნებისთვის მსგავსი რამ არის მოსალოდნელი, თუნდაც ფარული კადრების გამოვარდნა?***

– რასაკვირველია, გამორიცხული არ არის. ერთადერთი, რაც შემიძლია დავამატო, არის ის, რომ საზოგადოებაში გაჩნდა ასეთი კადრების მიმართ იმუნიტეტი. ამდენად, იმ ემოციის გაჩენა, რომელზეც ვლაპარაკობდით, ნაკლებად მოსალოდნელია. მხოლოდ მიუღებლობა დარჩა და სხვა არავითარი ემოცია.

***– ეს ალბათ უფრო პირადი ცხოვრების გასაჯაროებას შეეხება. მე სხვა ტიპის ინფორმაციის გასაჯაროებაზე გკითხეთ.***

– დიახ, გასაგებია, თქვენ სახელმწიფოებრივი, სამსახურებრივი ტიპის ინფორმაციაზე საუბრობთ, მაგრამ ამ ტიპის ინფორმაცია, რომელიც ხელისუფლების დისკრედიტებას მოახდენს, უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს წინა ხელისუფლების დროს იყო.

სააკაშვილის ხელისუფლება საკმაოდ თამამად მიდიოდა კანონდარღვევაზე და ეს მისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. „ოცნების“ ხელისუფლების სტრატეგია განსხვავებულია. ის ძალიან ფრთხილია, იმდენად ფრთხილიც კი, რომ ხშირად ეს არის მისდამი ხალხის საყვედური – ცუდს არ აკეთებენ, მაგრამ კარგსაც არ აკეთებენო. უკმაყოფილების ძირითადი მუხტი არგაკეთებაა და არა ის, რომ რაღაც საშინელს შვრებიან.

ამიტომ მეეჭვება, „ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგ ამ ტიპის მაკომპრომეტებელი მასალა დაიდოს.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ: 598-43-98-57**

# ბიძინა გუჯაბიძე: „გომური ფიზიკურად დაზარალებულია, მაგრამ მტკიცებულებების წარდგენა უნდა“

გულიკო ბალაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **ბიძინა გუჯაბიძე** პასუხობს.

***– ბატონო ბიძინა, რას ფიქრობთ სიტუაციაზე, რომელიც შექმნილია ერთი ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ჩვენებასთან დაკავშირებით? მოგეხსენებათ, საზოგადოებაში აღნიშნული ფილმის ჩვენებასთან წინააღმდეგობაა და იმ კინოთეატრების ბლოკირებას გეგმავენ, რომელშიც ფილმის ჩვენება იგეგმება.***

– გადაღებულია ფილმი, რომლის რეჟისორის ვინაობა, რეალურად, იმალება და ფსევდონიმით გვეცნობა. კარგი იყო, თავისი გვარით გამოსულიყო, რატომ ეშინია. როგორც ჩანს, საზოგადოების რისხვის ეშინია. ფილმს ჰქვია „და ჩვენ ვიცეკვეთ“. არ მინდოდა ამაზე საუბარი, პროპაგანდაში არ ჩაგვეთვალოს.

***– ფილმის ჩვენებით არატრადიციულისა და არასაჭიროს პროპაგანდა ხდება?***

– საქართველოს საზოგადოების 95% თავისი წარმომავლობით, ბუნებით, გენეტიკით კონსერვატორია. ვინც კონსერვატორი იყო, აზრი შეიცვალა და ლიბერალურ ღირებულებებზეა გადასული, ისინი საბოლოოდ მაინც დარწმუნდებიან, რომ კონსერვატორული მიმართულება აზროვნებაში, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მიმართულებში არის ერთადერთი სწორი მიმართულება. კაცობრიობის ერთ-ერთი მიღწევაა, რომ ამ იდეოლოგიაზე შეთანხმდნენ. ახლა დასავლეთშიც კი ლიბერალური მიმართულებების რღვევაა. ტრამპის განცხადებები ამას ადასტურებს.

***– მგონი, უფრო ულტრალიბერალური მიმართულებების რღვევაა.***

– გამრუდებული ლიბერალიზმი ევროპისა და, ზოგადად, დასავლეთის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

***– ამ შემთხვევაში დასავლეთს აკრიტიკებთ?***

– მე ვაკრიტიკებ იმ ხალხს, ვინც ულტრალიბერალურ ღირებულებებს იწონებს, თორემ, მაგალითად, ტრამპი კონსერვატორული იდეებით გამოდის, ლიბერალიზმს მხარს არ უჭერს, პირიქით, უტევს კიდეც. ტრამპის განცხადება წავიკითხე, ქრისტიანობის დევნას თავი უნდა დავანებოთო. ე.ი. ქრისტიანობას დევნიდნენ.

***– ადამიანებს, რომლებმაც ეს ფილმი გადაიღეს და ვინც აჩვენებს, არ აქვთ უფლება, ის თქვან და აჩვენონ, რაც უნდათ, სიტყვის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე?***

– ფილმი არ მინახავს, მაგრამ უარყოფითი გაშუქება აქვს. თუ ფილმი გარყვნილებაზე, ერთსქესიანთა ქორწინებაზეა და ერთსქესიანთა სექსუალურ სიტუაციებს აღწერს, მაშინ ეს საზოგადოებისთვის ძალიან ცუდია. ყოველ შემთხვევაში, რაღაც ჩარჩოებში უნდა მოექცეს.

***– რას გულისხმობთ ჩარჩოებში მოქცევაში?***

– ვიწრო წრეში, სადღაც კლუბში ან სადმე თუ აჩვენებენ, სადაც მცირეწლოვანი ბავშვები არ იქნებიან, ეს მათი ნებაა. საზოგადოებაში ასე ფართოდ ჩვენება, სადაც არავითარი კონტროლი არ არის დაწესებული, ძალიან ცუდია.

ამ ვითარებაში კანონმაც უნდა იმოქმედოს და საზოგადოებამაც აზრი უნდა გამოთქვას. მე არ ვემხრობი მათ ულტრარადიკალურ განცხადებებს, ვინც ამ ფილმის წინააღმდეგ გამოდის, აბა, გაბედონ და აჩვენონო. კანონი ორივე მხრიდან უნდა იქნეს დაცული. უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს.

დარბევისა და ფიზიკური ზემოქმედების მომხრე არ ვარ, თუმცა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც იქ არის მისული და ფილმის ჩვენებას აპროტესტებს, სწორი იქნება, თუ ლოზუნგებითა და შეძახილებით მიმართავს ფილმის ჩვენების ორგანიზატორებსა და დამსწრე საზოგადოებას.

***– თქვენ არ ემხრობით, მაგრამ, აი, ნაცმოძრაობა ფილმის ჩვენებას მხარს უჭერს.***

– ნაცმოძრაობა პირდაპირ ღიად უჭერს მხარს. გოცირიძის განცხადება გამოქვეყნდა სოლიდარობის ნიშნად. მერე დაწერა, ბილეთები გაყიდული ყოფილა და ვერ მივდივარო.

***– თქვეს, ყველა ბილეთი გაყიდულიაო. ეს რაზე მეტყველებს?***

– შეიძლება, გაყიდულია, მაგრამ გოცირიძეს დასწრება რომ სდომებოდა, ბილეთს როგორ ვერ იშოვიდა. უბრალოდ, გოცირიძემ მათ კოჭი გაუგორა, როცა თქვა, სოლიდარობის ნიშნად ფილმის ჩვენებას დავესწრებიო.

ბილეთს იშოვიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გოცირიძეს შემდეგ შერცხვა, ალბათ ახლობლებმა არ მოუწონეს და უკან დაიხია. ახლა კი ამბობს, ბილეთი ვერ ვიშოვეო. ბილეთი ყოველთვის იშოვება, თუ მოინდომებ, როგორც უნდა იყოს გაყიდული. ამის გამოცდილება ქართველ საზოგადოებას აქვს.

***– ფიქრობთ, რომ გოცირიძეს ფილმი არ აინტერესებს?***

– მხარდაჭერის გამოსახატავად დაწერა, დავესწრებიო, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, კონსერვატორული განწყობის გამო უკან დაიხია, თქვა, ბილეთი ვერ ვიშოვეო. ასე აფასებენ სოციალურ ქსელში მის უკანდახევას.

***– არიან ამ ფილმის ჩვენების მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.***

– მომხრეები ძალიან ცოტანი არიან. ერთი კინოდარბაზი ბევრს არ ნიშნავს. როგორც ვიცი, რამდენიმე კინოდარბაზში ხდება ჩვენება. მე მგონი, ბათუმშიც აჩვენებენ. ეს არის კეკლუცობა ულტრალიბერალური წრეების მიმართ. ასეთი ფილმები ულტრალიბერალური მიმართულების ერთ-ერთ სააგიტაციო თემად ითვლება და მათ ეკეკლუცებიან. გოცირიძეც ამას იყო აყოლილი.

საქართველოსთვის ასეთი ულტრალიბერალიზმის (და ცოტა სხვა სიტყვასაც ეძახიან) თავს მოხვევა არ გამოვა. ქართველი საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი კონსერვატორია.

***– ნაცმოძრაობის მხარდაჭერა რას ნიშნავს?***

– ნაცმოძრაობის მხრიდან ამგვარი ფილმების ჩვენების მხარდაჭერა იმას ნიშნავს, რომ ყოველმხრივ გაკოტრებულები არიან და რაღაც მოგონილ თემებს ებღაუჭებიან. არაფერი გამოუვათ. მათი ეპოქა დამთავრდა. სხვა გზა მათ არ აქვთ. მიშა კი იძახის, ბოკერია მიშლიდა ხელს, თორემ მაგარი ქრისტიანი ვარო, მაგრამ, ასე რომ არ არის, ყველა ხვდება. საქართველოში მყოფი ნაცმოძრაობის წევრები და მხარდამჭერები კეკლუცობენ, თორემ ის ადამიანები, რომლებმაც არ იციან, რა არის და უბრალოდ სანახავად მიდის, სხვაა.

***– ისე, ნაცები, ერთი მხრივ, აკრიტიკებენ 19-20 ივნისის ძალისმიერ მხარეს, მეორე მხრივ, არ აღიარებენ და არ ინანიებენ 7 ნოემბრისა და სხვა დარბევებს, არც პასუხი უგიათ. ორმაგი სტანდარტით მოქმედებენ?***

– ორმაგი სტანდარტი ნამდვილად არის. 7 ნოემბერს წინ უძღოდა 28 ოქტომბერს ზუგდიდში გამართული გრანდიოზული მიტინგი, რომელიც მაშინდელმა ოპოზიციამ ჩავატარეთ. მერე მოხდა დარბევა. მიტინგის მსვლელობის დროსაც იყო ნაცების პროვოკაციები. აქტივისტები და უფორმო პოლიციის თანამშრომლები მიტინგის ჩასაშლელად არ შემოვუშვით. შემდეგ ჩვენს ჯგუფზე მოხდა თავდასხმა, ჩემ წინ მიმავალ მანქანაზე დროშა ჩამოგვიგლიჯეს. მე მათ გამოვექომაგე. ნაცების აქტივი, 50 კაცი იყო. მე პოლიციელმა სამუშიამ (ისე, რომ არ ველოდი) დუბინკა თავში ჩამარტყა და კონტუზია მივიღე.

***– ამ პიროვნებამ პასუხი აგო?***

– ამ თემაზე არა და არც მომითხოვია. სხვა საკითხზე დაიჭირეს და ახლა პატიმრობაშია. მე და ჩემი მეუღლე მაკა სახურია დაგვკითხეს და ვთქვი ის, რაც იყო. დაზარალებულად არავის ვუცვნივარ. დაზარალებული ხარ თუ არა, საჯარო სამართლის თემაა, კანონი თავისთავად მოქმედებს.

7 ნოემბერს სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგეები რუსთაველზე. დარბევა რომ მოხდა, იმ დროს სახლში ვიყავი, წოლითი რეჟიმი მქონდა დანიშნული, მაგრამ სახლში ვერ გავძელი და წამოვედი (ჩემი მეუღლეც მიტინგზე იყო). მერე მოვხვდი რიყეზე მომხდარ დარბევაში.

***– აქტიურად იწერება ბოკერიას ბიძინა ივანიშვილთან კავშირების შესახებ. თითქოს მათ შორის გარკვეული შეთანხმება მოხდა და ბიძინა ივანიშვილმა ბოკერია ნაცმოძრაობის დასაშლელად გამოიყენა.***

– მე არც უარყოფა შემიძლია, არც დადასტურება. მე არ ვარ მაგგვარი ფაქტის შემსწრე და ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ, ნაცმოძრაობა რომ გაიხლიჩა, ცხადია. დაპირისპირებულები რომ არიან, ისიც ცხადია. ბოლოს რას იზამენ, არავინ იცის. თუ დასჭირდათ, შეიძლება, ისევ შეერთდნენ, დაივიწყონ ურთიერთდაპირისპირებები.

ნაცმოძრაობასა და მის განაყოფებს (ბოკერიასა და მელიას ფრთას) არა აქვთ უფლება, ჩვენი ხელისუფლებისა და შემდგომში მოსული ნებისმიერი ხელისუფლების საქმიანობა შეაფასონ.

***– რატომ? მათი პარტია არავის აუკრძალავს.***

– იმიტომ, რომ აშკარა იყო, მათ პარლამენტში შტურმით შეჭრა უნდოდათ და ნაწილი შეიჭრა კიდეც. ჩვენ 7 ნოემბერს დაგვარბიეს მაშინ, როდესაც ხიდან ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდნილა. ჩვენ არც პარლამენტში შევჭრილვართ და არც პოლიციასთან გვიძალადია. თვალების დათხრა და დასახიჩრება მაშინ მოხდა, თუ მოხდა. ისეთ ტყვიებს ისროდნენ, სამების ეკლესიისკენ აღმართზე ასული ხალხი დაასახიჩრეს. ერთ-ერთს მე და კობა დავითაშვილმა მივაკითხეთ. საწყალს ბარძაყზე ხორცი ჰქონდა გამოგლეჯილი, ფეხი მოტეხილი და სხეულზე დაზიანებები ჰქონდა მიყენებული. ბევრს ამოუგდეს თვალი.

***– ასეთ დროს სამართალდამცავებმა კანონით უნდა იმოქმედონ. მაკო გომური, რომელსაც 20 ივნისის ღამეს თვალი გამოსთხარეს, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი დაზარალებულად. ახლა გაუგზავნიათ შეკითხვა, როგორი თვალი გქონდათ, ჯანსაღი იყო თუ არაო. რატომ არ არის ცნობილი გომური დაზარალებულად?***

– ყველა შემთხვევაში, რომელი მხარე იქნება, ხელისუფლება და ოპოზიცია თუ მათი მხარდამჭერები, კანონმა უნდა იმოქმედოს. ამ შემთხვევაში იურიდიულ ნიუანსებში ჩაუხედავი ადამიანებისთვის გასაოცარია, გომური რატომ არის დაზარალებულად ცნობილი. გამოძიების სპეციფიკაა, როცა ჩვეულებრივი ადამიანი ვერ ერკვევა სამართლის საკითხებში, ვერ გაიგებს.

როგორც ვიცი, სამართალში არის ასეთი კაზუსები, როდესაც ადამიანი ფიზიკურად დაზარალებულია, მაგრამ სხვაგვარი მტკიცებულებების წარდგენა უნდა. როგორც ჩანს, გომურის ადვოკატმა იქ რაღაც ბოლომდე ვერ მიიტანა. სასამართლომ გომურის მხარეს დაზარალებულად ცნობაზე უარი უთხრა თან დაწერა, რომ ის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

***– მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ადამიანმა თვალი დაკარგა და დაზარალებულია.***

– გასაგებია. საჩივარი სრულყოფილი უნდა იყოს და ყველა მტკიცებულება უნდა იქნეს მიტანილი. უხერხული შეკითხვებიც შეიძლება დაუსვან. გამოძიება მიმდინარეობს და გომურს შეუძლია, მტკიცებულებები მიიტანოს.

***– 70 პოლიციელი რომ არის დაზარალებულად ცნობილი?***

– მაგას მნიშვნელობა არ აქვს. კადრებში ჩანს, პოლიციელს ვინ ურტყამს. გომურს ვინ ესროლა და ვინ მოარტყა თვალში არალეტალური ტყვია, არავინ იცის. მსროლელი არ იტყვის, მე ვესროლეო. ამის დადგენაა შეუძლებელი. თუ შესაძლებელია, გამოძიება მიმდინარეობს და შეეცდებიან, ის პოლიციელი დაისაჯოს, რომელმაც მიმართულება არასწორად შეარჩია.

# შოთა მალაშხია: „ინტრიგები საპატრიარქოში ივანიშვილისგან მოდის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გარემოცვა გაუშვა – პირადი კბილის ექიმით დაწყებული, პირადი ადვოკატითა და დაცვით დამთავრებული.

პროკურატურამ რა სახე უნდა შეინარჩუნოს? უდიპლომო და უვიცი ხელმძღვანელი ჰყავს. სამაგიეროდ, ეს კაცი ივანიშვილის ერთგულია. ივანიშვილი ვერ იტანს ქართულ ღირებულებებს.

***– ამაზე შეგეკამათებიან.***

– მას ნამდვილად სძულს ქართული ღირებულებები და მოსწონს საბჭოთა ქართული ტრადიციები. ივანიშვილი ამბობს, რომ ქართული სუფრა კოსმოსზე უდიდესი ღირებულებაა. იგი აღფრთოვანებულია ხორაგითა და ალკოჰოლით გაჯერებული საბჭოთა ნადიმებით. მას ეს სუფრა აქვს მხედველობაში.

**„ივანიშვილმა ხალხს იაფი ფული უკვე დაურიგა, კომუნალური ტარიფები შეამცირა, გასაოცარი დემოკრატია დაამყარა და ახლა თავის ბიზნესს ყიდის ჩალის ფასად“**

პატრიოტი ქართველები ყოველთვის ცდილობდნენ, მოეხდინათ დასავლურის მოდერნიზება და ქართულთან მისადაგება. ასე იქცეოდა ილია ჭავჭავაძე. ქართულის მოყვარული კაცი საყდრისს ააფეთქებდა? ბუნებას დააზიანებდა? იმის მაგივრად, რომ საყდრისში მუზეუმი აეშენებინა, ააფეთქა. ივანიშვილი რუსებსაც აღარ უნდათ და მას სხვით ჩაანაცვლებენ, მაგალითად, ვასაძით.

***– ვასაძე და სხვები აპირებენ, ჩაშალონ ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ პრეზენტაცია. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ესაა ყალბი ადამიანების ყალბი მოქმედებები. არ მესმის, რატომ ერევიან კინოსფეროში, რა უფლებით უწესებენ სხვა ადამიანებს ცხოვრების წესებს. მოდის ინდუსტრიაში ძირითადად გეები მოღვაწეობენ. ვასაძესა და სხვებს აცვიათ მათ მიერ შექმნილი ტანსაცმელი. თუ გეების დაპროექტებული ტანსაცმლის ჩაცმა შეიძლება, რატომ არ შეიძლება გეებზე გადაღებული ფილმის ყურება?

ესაა პარადოქსი. ეს ყველაფერი ხდება საპატრიარქოში მიმდინარე სკანდალების პარალელურად. სასულიერო სფერო სხვაა. სასულიერო პირი არ უნდა იყოს მამათმავალი. ეს სჯულის კანონის დარღვევაა. ასეთებს ამბიონიდან ქადაგების უფლება არ აქვთ. ვასაძე იმას არ ამბობს, რომ ასეთები საპატრიარქოში არ უნდა იყვნენ?

***– ბიძინა ივანიშვილი აპირებს უკვე აშენებული ან ასაშენებელი ობიექტების იაფად გაყიდვას.***

– ივანიშვილმა ხალხს იაფი ფული უკვე დაურიგა, ტარიფები შეამცირა, გასაოცარი დემოკრატია უკვე დაამყარა და ახლა თავის ბიზნესს ყიდის ჩალის ფასად?! რისი დაპირებაც შეიძლებოდა, ადრევე გასცა, ახლა ესღა დარჩა და მორიგ ტყუილებში ეხვევა.

მაგისი დემოკრატიაც ვიცით, როგორია – დათხრილი თვალები, ასევე მისი ნაქები ფარცხალაძის მიერ გატაცებული 70 მილიონი. ფარცხალაძე გაქცეულია.

ხომ ამბობდა, რუსთავი 2-ს რომ გამორთავთ, მაცივრები აგევსებათო. მის ენაზე რომ ვთქვათ, ეს კაცი „მელკი ჟულიკია“.

# 65 წლის თამარ ბაღაშვილი დედოფლისწყაროში გაგუდული იპოვეს




დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში 65 წლის ქალი გარდაცვლილი იპოვეს.

მერის წარმომადგენლის, მურად ელაშვილის თქმით, ქალი სახლში მარტო ცხოვრობდა. ცხედარი გარდაცვლილის ძმისშვილმა და მეზობელმა მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც ქალი ტელეფონზე აღარ პასუხობდა და ბინაში მიაკითხეს.

წინასწარი დათვალიერებით, ქალი, სავარაუდოდ, გაგუდეს.

– ჩამსხვრეული იყო სახლის მინები. სახლშიც ნივთები არეული, ალბათ რამეს ეძებდნენ. გარდაცვლილი თამარ ბაღაშვილი მარტო ცხოვრობდა. მეუღლე სამი წლის წინ გარდაეცვალა. სკოლასთან ახლოს ღვეზელებს ყიდდა. შეიძლება, გაქურდვის მიზნით შევიდნენ ღამით და ქალი გაგუდეს, – განაცხადა ელაშვილმა.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# გიგლა ბარამიძე: „მოვითხოვთ დავით ზალკალიანის გადაყენებას!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

„ოცნებაში“ გაქსუებული და გაღორებული ხალხია. ეს ადამიანები დემოკრატიასაც ამასხარავებენ და საზოგადოებასაც. ინტერვიუს ჩაწერის დღეს 7 ნოემბერია. „ოცნებას“ როცა თვითონ სჭირდება, ამ დღესაც იხსენებს, 26 მაისსაც და ნაცმოძრაობის დანაშაულებსაც.

თქვე დალოცვილებო, ნაციონალური მოძრაობის სისხლიან რეჟიმზე რომ ლაპარაკობთ, ამის შემოქმედები გვერდზე არ გყავთ? პარლამენტში ერთმანეთის გვერდით არ სხედხართ? მშვენივრად კოაბიტირებულები ხართ და ამიტომ არც 2007 წლის 7 ნოემბრისა და არც 2011 წლის 26 მაისის მოვლენებს არ იძიებთ!

ამათთვის დემოკრატია მილიონების ქურდობაა. ამ ხალხმა ძალიან დიდი ფული იშოვა. გამდიდრებული და გაქცეული ფარცხალაძე ამათი სახეა. კიდევ ერთი სახეა სოფო კილაძე, რომელმაც ქვეყანა შეყარა, ყოფილმა ქმარმა ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინაო. ამ ხალხს 60%-ის აღება უნდა 2020-ის არჩევნებზე.

***– სხვა ბიზნესმენების შემოსვლა თუ არის მოსალოდნელი პოლიტიკაში საარჩევნოდ?***

– ისეთი სისტემა შექმნეს, რომ ეს არ არის გამორიცხული. შეიძლება, პარტიები შექმნან ფულიანებმა, მაგალითად, რაიონულმა ბოსებმა, რომლებიც ან თვითონ იგებენ ტენდერებს, ან ცოლებს აგებინებენ.

ასეთებს აძლევს ივანიშვილის ხელისუფლება გასაქანს. „ქართულ ოცნებას“ არც სინდისი აქვს და არც ღირებულებები. მისმა მაღალჩინოსნებმა სახელი გაითქვეს უზარმაზარი სასახლეების მშენებლობითა და ძვირადღირებულ ახალ კორპუსებში ბინების შეძენით.

ესაა „ქართული ოცნების“ დემოკრატია.

# დავით ბრაგვაძე: „რუსეთი „დაჭრილი მხეცის“ მდგომარეობაში ვარდება“



**ბალკანური სკანდალი და ბულგარეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების რუს ჯაშუშებთან ერთად მუშაობა მსოფლიოს მასშტაბით განხილვადი საკითხი გახდა. რუსეთის საელჩოს პირველი მდივნის საფარველქვეშ მოქმედი ჯაშუშის გამოაშკარავებამ ბევრი საკითხი წინ წამოსწია, ბევრს კი კიდევ ერთხელ ახადა ფარდა.**

**რუსი ჯაშუშის გამოაშკარავებას წინ უძღოდა ბულგარეთში მოქმედი მოძრაობა „რუსოფილის“ ხელმძღვანელის, ბულგარეთის მოქალაქის ნიკოლაი მალინოვის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება, რომელიც სექტემბერში ორგანიზაციის რამდენიმე წევრთან ერთად დააკავეს, ასევე, ჩეხეთსა და პოლონეთში რუსი დიპლომატების გაძევება და რუსი ჯაშუშების გამოვლენა.**

**საინტერესოა, რის მიღწევას ცდილობს რუსეთის ფედერაცია, რატომ მისცა რუსეთის მთავრობამ მავნე მეთოდების გამოყენებას სისტემური სახე და ხომ არ გადის მისი ეს გეგმები საგარეო პოლიტიკის ხაზზე, რომელიც თითქმის მთელ მსოფლიოს სწვდება? ადარდებს თუ არა საერთოდ რუსეთს საერთაშორისო სანქციები და ხომ არ არის მისი ეს „პატარ-პატარა“ ნაბიჯები ნატო-ს დანაწევრებისკენ მიმართული?**

**ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ „საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუტის“ (GISP) დამფუძნებელი, საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტი დავით ბრაგვაძე ესაუბრა.**

***– ცოტა ხნის წინ ბულგარეთში რუსეთის საელჩოს პირველი მდივანი ჯაშუშობაში ამხილეს, ჩატარდა სერიოზული გამოძიება და ბულგარეთის მთავრობამ ქვეყნიდან ამ დიპლომატის გაძევება მოითხოვა. რატომ აქტიურობს რუსეთი ამ კუთხით ბალკანეთზე?***

– რუსეთს ბალკანეთის მიმართ ისტორიული ინტერესები აქვს და ამ მიმართულებით რამდენიმე ქვეყნის გამოყოფა შეიძლება – მათ შორის ნამდვილად არის ბულგარეთი. ასევე, რუსეთი ბულგარეთს დიდი მართლმადიდებლური სამყაროს ფარგლებში აქცევს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ რუსეთი აქტიური ღონისძიებების გატარებას ცდილობს, რომ ბალკანეთის ქვეყნებზე და მათ შორის ბულგარეთზე გავლენები შეინარჩუნოს. რუსეთი ღრმა უპატივცემულობას იჩენს ბულგარეთის სუვერენიტეტის, დიპლომატიური პროცესებისა და საზოგადოების მიმართ.

ბულგარეთში რამდენიმე ე.წ. საზოგადოებრივი ორგანიზაცია არსებობს, რომლებზეც სერიოზული ეჭვია, რომ პირდაპირ რუსეთიდან ფინანსდებიან. ასევე, არსებობს რამდენიმე ტელევიზია, რომლებიც რუსული ნარატივების გავრცელებას აქტიურად ეწევიან. ეს ყველაფერი ამ ქვეყნის მიმართ რუსეთის განსაკუთრებულ ინტერესზე მიანიშნებს.

ბულგარეთის საზოგადოებაშიც არის რუსების მიმართ გარკვეული სენტიმენტები. როგორც „მხსნელებს“, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ისე უყურებს. ეს არ არის დიდი ნაწილი, თუმცა ერთი პერიოდი მათი წილი უფრო სოლიდური იყო – მათ ახსოვთ რუსეთის ის დამსახურება, რომლის შედეგადაც ბულგარეთი მუსლიმანური სამყაროს გავლენებისგან გათავისუფლდა. აქედან გამომდინარე, რუსეთი, როგორც საქართველოს შემთხვევაში, ხშირად ცდილობს, ამ სენტიმენტებს ჩაეჭიდოს.

ასევე, ბულგარეთი არის ნატოს წევრი და ევროკავშირის წევრი ქვეყანა და ეს დამატებითი მოტივაცია შეიძლება იყოს რუსეთისთვის, რომ მან მისთვის არასასურველ ბლოკებში გარკვეული განხეთქილება გააჩინოს. კრემლი ამ ქვეყანას უდგება, როგორც ვასალს და ცდილობს მოახდინოს შიდა პროცესებზე გავლენა, მაგრამ ფაქტია, რომ ბულგარეთი „მე-16 საბჭოთა რესპუბლიკა“ არ არის და არ სურს, რუსეთის კარნახს დაემორჩილოს. ბულგარეთი დღეს არის პროგრესული ევროპული ოჯახის წევრი ქვეყანა და არ სურს საბჭოთა კავშირში დაბრუნება.

***– ბოლო წლებში, მთელ მსოფლიოში უამრავი ფაქტია, როცა ფარული და აკრძალული საქმიანობის გამოვლენის გამო რუსი დიპლომატების გაძევება ან რუსი ჯაშუშების გამოვლენა ხდება, როგორც ეს მოხდა ბოლოს თუნდაც ჩეხეთსა და პოლონეთში. იზრდება თუ არა რუსეთის მთავრობის მავნე მეთოდების გამოყენება თავისი საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად მთელი მსოფლიოს მასშტაბით და რა არის ამის მიზეზი?***

– რუსეთს რომ ამბიცია აქვს, დაუბრუნდეს „სუპერძალის მდგომარეობას“ მსოფლიოს არენაზე, ეს შეინიშნება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინი მოვიდა. ამის შემდეგ რუსეთი ძალიან აქტიურად იყენებს სხვადასხვა მეთოდს, რომელსაც დღეს ჰიბრიდულ მეთოდებსაც ეძახიან. იყენებს როგორც ჰიბრიდულ მეთოდებს, ისე გაცილებით უხეშ მეთოდებსაც, ჯაშუშურ ქსელებს, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას – ამას მხოლოდ ბალკანეთში არ აკეთებს.

ჩეხეთის მაგალითი ავიღოთ თუნდაც, სადაც ჯაშუშური ქსელი გამოვლინდა, რომელიც რუსეთზე მუშაობდა. ასევე, სკრიპალების საქმის მერე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან რამდენიმე დიპლომატი გააძევეს, მათ შორის ჩეხეთიდან ჯაშუშობის ბრალდებით – სამი დიპლომატი.

ამ ბოლო პერიოდში იმავე ბრალდებით ბულგარეთიდან საელჩოს პირველი მდივანი გააძევეს, რომელიც დიპლომატიის საფარქვეშ ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა.

რუსეთი გეოგრაფიულ სპეციფიკასაც ითვალისწინებს და სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა მეთოდს მიმართავს. მიზანი ერთია – გავლენა ჰქონდეს რაც შეიძლება ფართო გეოგრაფიაზე და ამისთვის მაქსიმალურად იყენებს იმ რესურსებს, რომლებიც გააჩნია. ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის უხეში სამხედრო ძალა, ზოგან არის ნავთობის დიპლომატია, ჯაშუშური ქსელები და ზოგან საზოგადოებრივი ორგანიზაციები – გააჩნია, რომელი უფრო ეფექტიანი მეთოდია კონკრეტული ქვეყნის შემთხვევაში.

***– გამოდის, რომ რუსეთის ხელისუფლება ასე მარტივად და თავხედურად იქცევა პარტნიორი სახელმწიფოების ტერიტორიაზეც კი? გვახსოვს სერგეი სკრიპალის საქმე და მკაცრი სანქციები, რომლებიც რუსეთს დაედო, მაგრამ ეს სანქციები რუსეთისთვის არაფერს წარმოადგენს?***

– ეს სანქციები რუსეთს პრობლემებს, ცხადია, უქმნის – მათ შორის სოლიდურ ეკონომიკურ პრობლემებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს რუსეთისთვის არის ერთ-ერთი სერიოზული გამაღიზიანებელი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, ის „დაჭრილი მხეცის“ მდგომარეობაში ვარდება და ხშირად ცდილობს, ამის საპასუხოდ კიდევ უფრო აგრესიული ღონისძიებები გაატაროს. თუმცა, ბევრის შეფასებით, ეს უკვე რესურსების ზღვარზე მყოფი ქვეყნის საქციელია, რომელსაც სხვა გზა აღარ დარჩენია, გარდა იმისა, რომ ამ მეთოდებით შეინარჩუნოს ან, თუ შესაძლებელია, სხვადასხვა ქვეყანაში საკუთარი გავლენები გააძლიეროს.

***– ბულგარეთში რუსული ორგანიზაცია „რუსოფილის“ ხელმძღვანელ ნიკოლაი მალინოვისა და სხვა წევრების წინააღმდეგ გამოძიების შედეგად გამოვლინდა კავშირები რუსულ დაზვერვასთან. ეს „რუსოფილები“ წლებია, აწარმოებენ რუსულ პროპაგანდისტულ კამპანიას, ჰყავთ ათასობით მიმდევარი. სწორედ ასეთი ქმედებებით ცდილობენ რუსები, რომ ბულგარეთი ან სხვა ქვეყნები ნატოს დააშორონ?***

– ცხადია, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ რუსეთს ეს მიზანი ჰქონდეს – ნატოს თითოეულ წევრ ქვეყანაში რუსული სენტიმენტების გაძლიერება ნიშნავს ნატოსთვის დამატებით „თავის ტკივილს“. ბულგარეთი არ არის ნატოს ისეთი წევრი, რომელშიც თუნდაც სკეპტიკური განწყობები ნატოს მიმართ ძირეულ რყევებს გამოიწვევს, მაგრამ პრეცედენტის შექმნის თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი იქნება.

ჩვენ შეგვიძლია, გავიხსენოთ რამდენიმე შემთხვევა, მაგალითისთვის „ბრექსითი“, სადაც სერიოზული წვლილი შეიტანა რუსულმა რესურსებმა იმაში, რომ ბრიტანეთში ევროსკეპტიკური განწყობები გაღვივებულიყო. ასევე შეგვიძლია, კატალონიის რეფერენდუმი გავიხსენოთ, სადაც ვენესუელურ „ბოტებსა“ და „ტროლებს“ იყენებდნენ, რადგან ესპანურის მცოდნე ხალხი რუსეთში ბევრი არ არის, იმისთვის, რომ კატალონიის რეფერენდუმზე ის შედეგი მიეღოთ და ესპანეთში გარკვეული რყევები გამოეწვიათ.

დიდ ევროპულ სახელმწიფოებს სხვადასხვა საკითხზე კონსენსუსის მიღწევა უკვე უჭირთ, იმიტომ, რომ ის ისეთი ერთიანი აღარ არის, როგორიც 10 წლის წინ იყო. გარკვეული ფაქტორების, მათ შორის რუსეთის უხეში ჩარევის გამოც საზოგადოებრივი განწყობები და პოლიტიკური ელიტების დამოკიდებულება ცალკეული საკითხების მიმართ მნიშვნელოვნად არის შეცვლილი.

***– რამდენად ძლიერია რუსული „რბილი ძალა“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით თუნდაც ამ ფაქტებიდან გამომდინარე? ხედავთ რეალურ საფრთხეს და რაში?***

– საფრთხე, ცხადია, რეალურია, იმიტომ, რომ რუსეთი საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს არ ემორჩილება.

## „რუსეთი საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს არ ემორჩილება“

რუსეთი არის რევიზიონისტული ძალა, რომელიც არსებული მსოფლიო წესრიგის გადახედვას და ახალ მსოფლიო წესრიგში საკუთარი როლის გაზრდას ცდილობს. აქედან გამომდინარე, საფრთხე რეალურია, იმიტომ, რომ აგრესიული ძალაა.

ჩვენ არ ვიცით, რუსეთი საკუთარი ინტერესების გასატარებლად რა ნაბიჯს გადადგამს. შეიძლება იყოს აბსოლუტურად ირაციონალური და მათ შორის რუსეთისთვის დამაზიანებელი ქმედებაც. ასეთ ქმედებებს მოსკოვი ხშირ შემთხვევაში არ ერიდება, იმისთვის, რომ პოტენციურ მოწინააღმდეგეს დარტყმა მიაყენოს – აკეთებს ისეთ რამეს, რაც დარტყმას აყენებს თავად მასაც. მისთვის ისაა მნიშვნელოვანი და მთავარი, რომ მოწინააღმდეგეს დარტყმა მიაყენოს.

ამ გადმოსახედიდან სასურველი იქნებოდა, რომ ეს საფრთხე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კიდევ უფრო ადეკვატურად იყოს შეფასებული. უკვე თვალნათლივ ჩანს, თუ რამდენად საშიში და დამაზიანებელია რუსული რევიზიონიზმი თანამედროვე სამყაროსთვის. ამავე დროს, კარგია ის, რომ სახელმწიფოები სულ უფრო მეტ ერთობლივ ძალისხმევას იყენებენ უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დასაცავად.

**კონსტანტინე ამილახვარი**

# რუსთავში შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრი გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა კახაბერ საბანაძემ, ნინო ჯავახაძემ და ლევან კაკავამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორ ვაჟა სირაძესთან ერთად, „სისტემური განახლების“ ფარგლებში, რუსთავში საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ახალი ცენტრი გახსნეს. ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ უწყების სხვა წარმომადგენლები და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები.

თბილისის შემდეგ რუსთავი პირველი ქალაქია, სადაც მოსახლეობა 50-მდე საპოლიციო სერვისს, ნაცვლად 4 სხვადასხვა ადგილისა, „ერთი სარკმლის“ პრინციპით მიიღებს. მათ შორის: მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების გაუქმებას ან ჯარიმით შეცვლას, ნაპოვნი სანომრე ნიშნის მიღებას, სპეციალურ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალების გაყვანაზე თანხმობასა და სხვა. ახალმა ცენტრმა რუსთავის საპატრულო პოლიციის „მე-12 ოთახი“ ჩაანაცვლა.




საპატრულო პოლიციის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე საპოლიციო სერვისცენტრი აღჭურვილია ვიზიტორთა რიგის მართვის, ელექტრონული ხელმოწერისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებით. რუსთავის ერთიანი მომსახურების ცენტრში, ასევე, დანერგილია განაცხადების ელექტრონული ფორმით მიღების სისტემა, რაც გამორიცხავს განცხადებებისა და საჩივრების ხელით შევსების აქამდე დამკვიდრებულ პრაქტიკას. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

ამავე შენობაში განთავსდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს კუთხეც, რომელიც მოქალაქეებს თავის კომპეტენციაში შემავალ სხვადასხვა სერვისს შესთავაზებს.

ერთიანი მომსახურების კონცეფციის დანერგვა 2018 წლიდან, სისტემური განახლების ფარგლებში დაიწყო. გასული წლის 1 მაისიდან უკვე მოქმედებს თბილისის ერთიანი მომსახურების ცენტრი, რომელმაც 1 წლის განმავლობაში 300000-მდე მოქალაქეს გაუწია მომსახურება, სატელეფონო ცენტრმა კი 250000-მდე ზარს უპასუხა.

„სისტემური განახლების“ ერთ-ერთი პრიორიტეტი საგზაო უსაფრთხოების მიმართულებაა, რომლის ფარგლებშიც აქტიურად გრძელდება სოციალური კამპანიის – „მეტი სიცოცხლისთვის“ ახალი ეტაპი. უწყება სხვადასხვა კომპლექსურ ღონისძიებებს ახორციელებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდისა და ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირების მიზნით. მათ შორის, ბოლო 6 თვის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, „ჭკვიანი“ კამერების რაოდენობა 2.600-დან 4.314-მდე გაიზარდა. წლის ბოლომდე, მათი რიცხვი 5.000-ს მიაღწევს. განხორციელებული ღონისძიებების პარალელურად, გაიზარდა საგზაო მოძრაობის დროს კანონდარღვევების გამოვლენის მაჩვენებლებიც.

გარდა უსაფრთხო საგზაო მოძრაობისა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას ჰქონდეს შესაძლებლობა, ნაკლები დროის დანახარჯით, კომფორტულ გარემოში მიიღოს წვდომა სამინისტროს მიერ შეთავაზებულ სხვადასხვა მომსახურებაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ერთიანი მომსახურების ცენტრის რეგიონული კომპონენტის დანერგვით საგრძნობლად იზრდება საპოლიციო სერვისების მიწოდების ეფექტიანობა და მცირდება სასურველი მომსახურების მიღების დრო.

# ბათუმში 23 წლის ანრი მახარობლიძე მე-10 სართულიდან გადავარდა და დაიღუპა



გუშინ, 7 ნოემბერს, უბედური შემთხვევა მოხდა ბათუმში.

23 წლის ანრი მახარობლიძე 26 მაისის ქუჩაზე მდებარე სამშენებლო კორპუსის გარე ფასადზე მუშაობდა, როდესაც ამწე გაწყდა და ის დაახლოებით მე-10 სართულის სიმაღლიდან გადმოვარდა.

ექიმების თქმით, 23 წლის მამაკაცს მრავლობითი სახის სიცოცხლისთვის შეუსაბამო მოტეხილობები აღენიშნებოდა.

– სამღებრო სამუშაოები მიმდინარეობდა, გაწყდა ამწე და ჩამოვარდა ორი მუშა. ერთი საბედნიეროდ გადარჩა, მეორე უგონო მდგომარეობაშია, – თქვა ბათუმის მერიის არქიტექტურის სამსახურის საპროექტო სამსახურის უფროსმა ირაკლი მოქიამ.

შემთხვევას თვითმხილველები ჰყავს.

– მე რომ გამოვიხედე, ერთი ადამიანი ძირს ეგდო და მეორე აივანზე ჩაკეცილი უყურებდა ამას და ცუდად გახდა. სასწრაფომ სანამ გადმოვარდნილი წაიყვანა, ის კაცი ჩაკეცილი ზემოდან უყურებდა და სავარაუდოდ, ცუდად გახდა ამის დანახვით, – თქვა ამბობს თვითმხილველმა.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურმა მუშა „მედცენტრში“ გადაიყვანა, თუმცა კლინიკაში თქვეს, რომ იგი საავადმყოფოში შეყვანამდე უკვე გარდაცვლილი იყო.

დაღუპული კომპანია „გიგეროში“ მუშაობდა.

მშენებარე კორპუსში სამუშაო პროცესები გუშინვე შეჩერდა. ამის შესახებ განცხადება ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გაავრცელა.

– ინსპექტორები ადგილზე სწავლობენ უშუალოდ უბედურ შემთხვევას. შეჩერებულია სამუშაო პროცესი. შრომის ინსპექციამ მოახდინა მყისიერად შეჩერება და სანამ არ იქნება დეტალურად შესწავლილი, თუ რამ გამოიწვია უბედური შემთხვევა, ასევე იმ შეუსაბამობების აღმოფხვრა, რომელიც იქ დაფიქსირდება და ფიქსირდება, სამუშაო პროცესი იქნება შეჩერებული, – განაცხადა ბექა ფერაძემ.

მომხდარის გამო გამოძიება 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

# მაკრონი: „ჩვენ ახლა ნატოს ტვინის სიკვდილს ვუყურებთ“



საფრანგეთის პრეზიდენტი ევროპის ქვეყნებს აფრთხილებს, რომ ისინი აღარ უნდა დაეყრდნონ შეერთებულ შტატებს, რომ ის დაიცავს ნატოს მოკავშირეებს.

ემანუელ მაკრონი ეკონომისტთან ინტერვიუში სირიაში შეერთებული შტატებისა და თურქეთის მოქმედებებს აკრიტიკებს.

– ის, რასაც ახლა ვხედავთ, არის ნატოს ტვინის სიკვდილი, – აცხადებს მაკრონი.

მისი თქმით, ევროპა „უფსკრულის პირასაა“ და ის თავად უნდა ჩამოყალიბდეს გეოპოლიტიკურ ძალად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპული ქვეყნები „ველარ შეძლებენ საკუთარი ბედის გაკონტროლებას“.

ემანუელ მაკრონმა ალიანსის სტრატეგიული მიზნების ნათლად განმარტების აუცილებლობაზე ისაუბრა და ყურადღება კონტინენტის თავდაცვის პოტენციალის გაზრდაზე გაამახვილა.

მისივე განცხადებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამერიკა ევროპას „ზურგს აქცევს“.

– პრეზიდენტი ტრამპი არ იზიარებს ჩვენი ევროპული პროექტის იდეას და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ გვიწევს, გავუმკლავდეთ ჩინეთის აღმასვლასა და რუსეთისა და თურქეთის ავტორიტარულ რეჟიმებს. მეტიც, ევროპა „ბრექსითისა“ და პოლიტიკური არასტაბილურობისგან თანდათან უფრო სუსტდება, – განაცხადა მაკრონმა.

# ჰააგის სასამართლომ კონგოელ დიქტატორ ნტაგანდას 30 წელი მიუსაჯა

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ კონგოელ სამხედრო დიქტატორს, რომელსაც „ტერმინატორს“ უწოდებდნენ, 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბოსკო ნტაგანდას ბრალი მრავალი დანაშაულისთვის წარედგინა, მათ შორის გაუპატიურებისა და ომის დანაშაულებისთვის.

აფრიკის ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელი სასამართლოს განაჩენს მიესალმა და განაცხადა, რომ ეს პირდაპირი გზავნილია ადამიანებისთვის, რომ „თუნდაც ერთ დროს ხელშეუხებელი ადამიანები ერთ დღესაც მართლმსაჯულების წინაშე წარდგებიან“.

მოსამართლეებმა სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ ნტაგანდა დამნაშავედ იქნა ცნობილი, „მათ შორის მკვლელობებში, მამაკაცთა და ქალების გაუპატიურებაში, ბავშვების ჯარისკაცებად გამოყენებასა“ და სხვა მრავალ ეპიზოდში.

მათივე თქმით, ნტაგანდა ბავშვებს ბრძოლის დროს ფარად იყენებდა.

ნტაგანდა აჯანყებულთა ჯგუფის სამხედრო შტაბის უფროსის მოადგილე იყო, რომელიც კონგოს გათავისუფლებისთვის იბრძოდა. ის დამ-



ნაშავედ იქნა ცნობილი 2002-2003 წლებში კონგოში მომხდარი ეთნიკური კონფლიქტის დროს ჩადენილ კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულში.




# ერდოღანი ტრამპთან შესახვედრად ემზადება

მომავალ კვირას თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი დონალდ ტრამპს შეხვდება.

მოლაპარაკების ძირითადი თემა თურქეთისთვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს მოხსნაა. ერდოღანმა განაცხადა, რომ ამერიკელებმა თურქეთს ემბარგო აუცილებლად უნდა მოუხსნან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის რუსეთთან თანამშრომლობით დაიმუქრა:

– თუ ამერიკელები ემბარგოს არ მოხსნიან და უახლეს ავიაგამანადგურებლებს არ მოგვაწვდიან, მათ რუსეთში შევიძენთ, – თქვა ერდოღანმა.

# უილიამ ტეილორმა კონგრესს ჩვენება მისცა



აშშ-ის კონგრესის წინაშე უკრაინაში ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი უილიამ ტეილორი წარდგა.

მისი ჩვენება მართლაც სენსაციური გამოდგა.

ტეილორმა განაცხადა, რომ კომპანია „ბურისმას“ წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება ჯო ბაიდენის წინააღმდეგ იყო მიმართული. ვიღაცები ბაიდენის რეპუტაციის შელახვასა და არარსებულ დანაშაულში მის მხილებას ცდილობდნენ.

– მიზანი არა კორუფციული სქემების გამოაშკარავება, არამედ ბაიდენის დისკრედიტაციაა, – თქვა ტეილორმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ფეხმძიმე ქალმა შეიარაღებული მძარცველები მოიგერია და მეუღლე გადაარჩინა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ლიტიაში ფეხმძიმე ქალმა თავის მეუღლეზე თავდამსხმელი ბოროტმოქმედების მოგერიება მოახერხა. ჯერემი კინგი საკუთარ სახლში იმყოფებოდა, როდესაც იქ უკანა კარიდან ორმა ნიღბიანმა მამაკაცმა შეაღწია. თავდამსხმელებმა კინგს პისტოლეტი მიუშვირეს, მის 11 წლის ქალიშვილს ხელი სტაცეს და ფული მოითხოვეს.

კინგმა მათ უპასუხა, რომ მათთვის არაფერი ჰქონდა მისაცემი. მაშინ ერთმა მძარცველმა მას პისტოლეტით ცემა დაუწყო, ხოლო მეორე ფეხს ურტყამდა თავის არეში.

კინგის რვა თვის ფეხმძიმე მეუღლემ ხმაურზე საძინებლიდან გამოიხედა. ერთ-ერთმა მძარცველმა მას ესროლა, მაგრამ ააცილა. მაშინ ქალმა ხელი დასტაცა თოფს და მძარცველი მძიმედ დაჭრა.

ბოროტმოქმედებმა თავს გაქცევით უშველეს. დაჭრილმა დაახლოებით 60 მეტრის გავლა მოახერხა და არხში გადავარდა. ის მოგვიანებით მკვდარი იპოვეს. მისი თანამზრახველი მიიმალა. მას პოლიცია ეძებს.

თავდასხმის შედეგად კინგმა დაზიანებები მიიღო. მას დამსხვრეული აქვს თვალის ბუდის ძვლები, გატეხილი აქვს ცხვირის ძვალი, დაუდგინდა ტვინის შერყევა. ექიმებმა დაზარალებულს თავზე 20-ზე მეტი ნაკერი დაადეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ღია წერილი



გვარს არ ვასახელებ იმიტომ, რომ ეს კაცი უკვე გარდაცვლილია. უგანათლებულესი კაცი, ის ჩემი ახლობელი იყო. ამერიკაში ლექციებს კითხულობდა და დიდ გასამრჯელოს იღებდა. ცოლი ამერიკელი ჰყავდა. ის იყო ნაღდი დიპლომატი. სალომემ დაურეკა და უთხრა, გია, მოდი, პარტია შევქმნათო და 6 მილიონი დოლარი მიატანინა. გადის თვეები, ნერვიულობის გამო თავში სიმსივნით გარდაიცვალა. მე ადრე გაზეთ „ახალ თაობაში“ დავწერე, სალომეს ჯერ საქართველოს ისტორია შეასწავლეთ, მერე ქართული-მეთქი. მოკლედ, ეს თანხა დარჩა, ბიძინამ კი მილიონები დახარჯა მის გაპრეზიდენტებაზე. თბილისიდან მარნეულამდე სალომეს დიდი სურათები იყო გამოფენილი და ქვეშ ეწერა: ხმა მიეცით ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს. პრეზიდენტი ხარ, შეწყალებამდე მკვლელობაზე გაქცეულ კაცზე რომ ხელს აწერ? ის მოკლული ბავშვი იყო დიდი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის შვილიშვილი. მამას, პროფესორს, ბატონ გოგი ოთხმეზურს, რომელსაც კარგად ვიცნობ, 16 წელი ვიმუშავე თსუ-ში, უწესიერეს კაცს, სახლის წინ მოუკლეს შვილი და ამ მკვლელს შეწყალებაზე უწერ ხელს. ამაზე მეტი ცინიზმი რა გინდა. მე მგონი, რაღაც გარიგებასთან გაქვს საქმე! ჯერ მოიკითხე მასალები, გაერკვიე, მერე რამდენიც გინდა, აწერე და აწერე ხელი. უბრალოდ, არ არის ლამაზი ამ ქალის პრეზიდენტობა ამის შემდეგ.

საქართველოს ასეთი შვილი ჰყავდეს და ის ჩრდილში უნდა იყოს – უგანათლებულესი და ნამდვილი პოლიტიკოსი, მოაზროვნე და დიდი დიპლომატი, როგორიც ბრძანდება ბატონი ალექსანდრე ჭაჭია. მის პუბლიკაციებს სიამოვნებით ვკითხულობ. წაიკითხეთ „საქართველო და მსოფლიო“ 6 ნოემბრის გაზეთში, იმიტომ, რომ დიდი აზროვნებითა და ნიჭიერებით არის ნაკარნახევი. ქართველი ხალხი ბრძენი და მოაზროვნეა და ერთი მრჩეველი აიყვანე. რამდენი პრემიერ-მინისტრი გამოიცვალე, ჭკვიანი ხალხის მეტი რა არის საქართველოში?!

სალომე ზურაბიშვილი ლავროვს რომ შეხვდა, ლავროვმა თქვა, ეს ქალი აღარ დამანახოთო. ალბათ, რაღაც წაიპრუტუნა...

მე რომ მკითხოთ, დღესვე დავსვამდი ალექსანდრე ჭაჭიას პრეზიდენტად, მაგრამ მე ვინ მკითხავს. ბიძინას მონა-პრეზიდენტი უნდა, თვითონ რომ მართოს.

**ირაკლი (იბო) დოლიძე**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ამკურნალი-კოსმეტოლოგი გთავაზობთ შემდეგი სახის მკურნალობას: სახეზე ჩირქოვანი გამონაყარის „აკნეს“ ლაქების მოხსნას, კანის გამოცვლას უმტკივნეულოდ, დახეთქილი და გაუხეშებული ქუსლების, ხელების მკურნალობას ხსნარებისა და მალამოების საშუალებით. ტელ: 555-11-00-06.

# გიორგი ხარაიშვილი: „გატანილი ბურთი ისე ვერ აღვნიშნე, თუმცა გულში ძალიან გამიხარდა“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

***– როდის გაიგეთ, რომ გიბრალტართან მატჩს თერთმეტეულში დაიწყებდით?***

– თამაშის წინა დღეს, როდესაც მთავარმა მწვრთნელმა შემადგენლობა დაასახელა.

***– შვედეთის ჩემპიონატი რამდენიმე დღის წინ დასრულდა, სადაც სეზონის საუკეთესო 11 ფეხბურთელს შორის დაგასახელეს. ელოდით?***

– კარგია და სასიამოვნო, როდესაც გაფასებენ. ეს ამბავი პრესის საშუალებით გავიგე. საერთო ჯამში, ურიგო სეზონი არ ჩამიტარებია. ვფიქრობ, როგორც მე, ასევე გიოტებორგს, წინა წელთან შედარებით უკეთესი სეზონი გვქონდა, თუმცა უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია. მეც ბევრი მაქვს სამუშაო.

***– მომავალ გეგმებზე გვითხარით, როდის შეიკრიბება გიოტებორგი?***

– სკანდინავიაში გაზაფხულამდე პაუზაა, თუმცა მანამდე სანაკრებო მატჩები მელის. შვედეთში იანვარში დავბრუნდები და რამდენიმე შეკრებას გუნდთან ერთად გავივლი. ნაკრებში გამოცხადებამდე კი საბურთალოში ვივარჯიშებ. შეიძლება ითქვას, რამდენიმე დღით სახლში ვბრუნდები.

***– ეროვნულ ლიგას თუ ადევნებთ თვალს და როგორ შეაფასებთ ყოფილი გუნდის, საბურთალოს ასპარეზობას?***

– ჩემპიონატის დონე აშკარად მომატებულია. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩემპიონატის ბოლომდე პირველობა 3 გუნდს შეუძლია. საბურთალო ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა. ასეა ამჯერადაც. ამავდროულად, წლეულს პირველად მოხდა, რომ კლუბი თასის ფინალშია გასული. საბურთალო ყოველთვის აუმჯობესებს შედეგს და პროგრესს განაგრძობს.

# ვლადიმირ ვაისმა შემადგენლობა დაასახელა



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები სეზონს ასრულებს.

დარჩენილია 2 მატჩი: ევრო 2020-ის საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნით მე-8 შეხვედრას შვეიცარიასთან ვაისის გუნდი 15 ნოემბერს ქალაქ სენტ-გალენში ითამაშებს, ხოლო 19 ნოემბერს ამხანაგურ მატჩში ხორვატიის ნაკრებს შეხვდება ქალაქ პულაში.

მზადებას ეროვნული გუნდი 11 ნოემბერს დაიწყებს. 13 ნოემბრის ჩათვლით, საწვრთნელი პროცესი სენტ-გალენის სიახლოვეს, გერმანიის ქალაქ ბად ვურისოფენში შედგება.

შემადგენლობაში ცვლილებებია: ტრავმების გამო ეროვნულ ნაკრებს თორნიკე ოქრიაშვილი, საბა ლობჟანიძე და ლაშა დვალი ვერ დაეხმარებიან.

უახლოესი 2 მატჩისთვის ვლადიმირ ვაისმა ეროვნულ ნაკრებში 25 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო ბთ);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), გიორგი აბურჯანია (ტვენტე, ჰოლანდია), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონიასპორი, თურქეთი), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), ზურიკო დავითაშვილი (რუბინი, რუსეთი);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), ელგუჯა ლობჯანიძე (თარაზი, ყაზახეთი), ბაჩანა არაბული (პანიონისი, საბერძნეთი).

უახლოესი 2 მატჩისთვის ცნობილია კიდევ 6 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებსაც ვაისი ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს.

სოლომონ კვირკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), ლაშა პარუნაშვილი (ესბიერგი, დანია), ლუკა ზარანდია (ვარეგემი, ბელგია), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), ბუდუ ზივზივაძე (მეზოკოვეშდი, უნგრეთი), ლევან კუტალია ( დინამო თბ).

# პსჟ, ბაიერნი და იუვენტუსი ფლეი ოფში გავიდნენ



## ა ჯგუფი

### რეალი-გალათასარაი 6:0

**მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ**

**1:0, 2:0 როდრიგო (4, 7), 3:0 რამოსი (14პ), 4:0, 5:0 ბენზემა (45, 85), 6:0 როდრიგო (90)**

მადრიდის რეალმა მარტივად, ზედმეტი ვაი-ვაგლახის გარეშე სძლია გალათასარაის და თითქმის გაინაღდა ფლეი ოფში გასვლა.

როდრიგომ 7 წუთში დუბლი შეასრულა და ყველაფერი ნათელი გახდა. პირველ ტაიმში რამოსმა და ბენზემამაც გაიტანეს. მე-2 ტაიმის დიდი დრო უგოლოდ გაილია, მხოლოდ მიწურულს ბენზემამ და როდრიგომ თითოც გაიტანეს და საბოლოო შედეგი დააფიქსირეს.

როდრიგომ ჰეთ-თრიკი შეასრულა, ის ჩემპიონთა ლიგაზე ყველაზე ახალგაზრდა გოლის გამტანი ბრაზილიელია – 18 წლის და 301 დღის. მან დუბლი 6 წუთსა და 14 წამში შეასრულა, რაც ტურნირის რეკორდია.

### პსჟ-ბრიუგე 1:0

**პარიზი. პარკ დე პრენსი**

**1:0 იკარდი (21)**

პარიზულმა გუნდმა ძალიან მარტივად მოიპოვა ფლეი ოფის საგზური. ტომას ტუხელის გუნდმა მაურო იკარდის გოლით მოუგო ბრიუგეს და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 4 | 4 | 0 | 0 | 10-0 | 12 |
| 2.რეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-5 | 7 |
| 3.ბრიუგე | 4 | 0 | 2 | 2 | 2-8 | 2 |
| 4.გალათასარაი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-8 | 1 |

## ბ ჯგუფი

### ბაიერნი-ოლიმპიაკოსი 2:0

**მიუნხენი. ალიანც არენა**

**1:0 ლევანდოვსკი (69), 2:0 პერიშიჩი (89)**

საინტერესო იყო უმწვრთნელოდ დარჩენილი ბაიერნის ნახვა, თუმცა ბავარიულმა კლუბმა ამ ამოცანას მარტივად გაართვა. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ლევანდოვსკიმ და პერიშიჩმა გუნდს ფლეი ოფის საგზური მოუტანეს.

### ცრვენა ზვეზდა-ტოტენჰემი 0:4

**ბელგრადი. რაიკო მიტიჩი**

**0:1 ლო ჩელსო (34), 0:2, 0:3 ჰიუნ-მინ სონი (57, 61), 0:4 ერიკსენი (85)**

ტოტენჰემმა გაიღვიძა – ლონდონელებმა უპრობლემოდ იმარჯვა და სატურნირო ცხრილში საქმე გამოისწორა. ახლა ძალიან უნდა მოინდომონ ლონდონელებმა, რომ ფლეი ოფს მიღმა დარჩნენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 15-4 | 12 |
| 2.ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 13-9 | 7 |
| 3.ცრ.ზვეზდა | 4 | 1 | 0 | 3 | 3-13 | 3 |
| 4.ოლიმპიაკოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 5-10 | 1 |

## ც ჯგუფი

### ატალანტა-სიტი 1:1

**მილანი. სან სირო**

**0:1 სტერლინგი (7), 1:1 პაშალიჩი (49)**

**გაძევება:** ბრავო (81, სიტი)

მანჩესტერ სიტი სტუმრად ატალანტასთან ფრეს დასჯერდა (1:1) და ფლეი ოფში გასვლა გადადო.

არადა, მანჩესტერელები რაჰიმ სტერლინგის გოლით დაწინაურდნენ და პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც. თუმცა, მე-2 ტაიმში სიტუაცია შეიცვალა: ჯერ პაშალიჩმა გაათანაბრა, ხოლო 81-ე წუთზე მსაჯმა შეცვლაზე შესული მეკარე ბრავო წუთზე გააძევა და მის ნაცვლად კარში მცველი უოკერი ჩადგა, რომელმაც რამდენიმე ბურთი მოიგერია და გოლი არ გაუშვა.

### დინამო-შახტარი 3:3

**ზაგრები. მაკსიმირი**

**0:1 პატრიკი (13), 1:1 პეტკოვიჩი (25), 2:1 ივანუსეჩი (83), 3:1 ადემი (89), 3:2 მორაესი (90), 3:3 ტეტე (90პ)**

**გაძევება:** მორო (74, დინამო), მარლოსი (79, შახტარი)

ნამდვილი დრამა დატრიალდა ზაგრებში. შახტარმა ნამდვილი სასწაული მოახდინა, კომპენსირებულ დროში 2 გოლი გაიტანა და ფრეს მიაღწია.

დონბასელები ჯერ იგებდნენ, მაგრამ 89-ე წუთზე უკვე 1:3 ჩამორჩნენ. მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მე-3 წუთზე მორაესმა შეამცირა სხვაობა, ხოლო ბოლო წამებზე მეტოქის საჯარიმოში დონეცკელთა მეკარე ანდრეი პიატოვი წააქციეს. მსაჯმა ფელიქს ბრიხმა ვიდეოგამეორების ნახვის შემდეგ პენალტი დანიშნა, რომელიც ტეტემ გამოიყენა.

დონბასური გუნდის მცველი დავით ხოჭოლავა სათადარიგო იყო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-2 | 10 |
| 2.შახტარი | 4 | 1 | 2 | 1 | 7-9 | 5 |
| 3.დინამო | 4 | 1 | 2 | 1 | 9-7 | 5 |
| 4.ატალანტა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-12 | 1 |

## დ ჯგუფი

### ლევერკუზენი-ატლეტიკო 2:1

**ლევერკუზენი. ბაიარენა**

**1:0 პარტი (41სკ), 2:0 ფოლანდი (55), 2:1 მორატა (90)**

ჯგუფის ცენტრალური მატჩი გაიმართა ლევერკუზენში. აქამდე უქულოდ მყოფმა „ფარმაცევტებმა“ მადრიდის ატლეტიკო 2:1 დაამარცხა და 3 ქულით მე-2 ადგილზე აინაცვლა.

### ლოკომოტივი-იუვენტუსი 1:2

**მოსკოვი. რჟდ არენა**

**0:1 რამზი (4), 1:1 ა.მირანჩუკი (12), 1:2 დუგლას კოსტა (90)**

იუვენტუსმა კომპენსირებულ დროში დუგლას კოსტას გოლით სტუმრად 2:1 დაამარცხა ლოკომოტივი და ფლეი ოფში გავიდა.

ანგარიში სტუმრებმა კურიოზული გოლით გახსნეს, ძალიან მახვილი კუთხიდან, საჯარიმოდან რონალდოს მიერ დარტყმული ბურთი მეკარე გილერმემ ხელებში ვერ შეიმაგრა და რამზიმ მას კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

ლოკომ მალე საპასუხო გოლი გაიტანა. ბოლოს კი კოსტას გოლი იყო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| 2.ატლეტიკო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 3.ლოკომოტივი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| 4.ლევერკუზენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |

# ბითაძეს ორმაგი დუბლი ჩაუთვალეს



ინდიანა პეიზერსის ქართველმა ცენტრმა გოგა ბითაძემ ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში 13 ქულის სახით პირადი რეკორდი დააფიქსირა. ეს მოხდა მატჩში, რომელშიც ინდიანელებმა ვაშინგტონ უიზარდსს უმასპინძლეს და 121:106 დაამარცხეს. ინდიანელებმა მე-8 მატჩი მე-4 გამარჯვება მოიპოვეს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-7 ადგილზე არიან.

ბითაძემ 20 წუთი ითამაშა და ამ დროში 13 ქულის ჩაგდება მოახერხა. ქართველმა ცენტრმა 4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. როგორც ხედავთ, ბითაძე საკმაოდ აქტიური იყო სამწამიან ზონაში, რადგან მას 8-ჯერ მოუწია საჯარიმოს სროლა. სამწუხაროდ, შეწყდა მისი საოცარი სერია დაფარებებში (ზედიზედ სამ მატჩში 4-4 დაფარება), ვაშინგტონთან მას ბლოკ-შოტი არ ჰქონია.

გოგამ შესანიშნავად ითამაშა პირველ ნახევარში – 9 წუთში 11 ქულა ჩააგდო (1 სამქულიანი), რასაც თითო მოხსნა და პასი მიუმატა. ინდიანამ პირველი ნახევარი 8 ქულის სხვაობით მოიგო.

გოგა მოედანს მე-2 მეოთხედის დასრულებამდე 5 წუთით ადრე დაუბრუნდა. მეორე ნახევარში ქართველმა ოდნავ მეტი ითამაშა, თუმცა მონაგარს ბევრი ვეღარ შემატა.

ინდიანას რიგებში 22 ქულა ტი ჯეი უორენმა ჩააგდო, 19 – დაგ მაკდერმოტმა, 18 – აარონ ჰოლიდეიმ. საბონისის ანგარიშზე 13 ქულა, 17 მოხსნა და 7 პასია.

დამარცხებულთა რიგებში ბრედლი ბილმა 30 ქულა ჩააგდო, ხოლო გოგას ვიზავი თომას ბრაიანტმა 20 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა.

მომდევნო მატჩს ინდიანა საკუთარ არენაზე დეტროიტ პისტონსთან გამართავს.

და მთავარი: ქართველმა კალათბურთელმა ნბა-ში პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა. როგორც ირკვევა, ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ჯერ კიდევ 2 ნოემბერს მოხდარა, როდესაც ინდიანა პეისერმა კლივლენდ კავალიერსს 102:95 სძლია.

იმ მატჩში ყველა წამყვანმა სპორტულმა ვებგვერდმა და მათ შორის ლიგის ოფიციალურმა საიტმაც ბითაძეს 10 ქულა და 9 მოხსნა დაუწერა. თუმცა, შემდეგ სტატისტიკა განახლდა და ქართველ კალათბურთელს 10 მოხსნა ჩაუთვალეს.

შედეგად, გოგამ პირველი ამერიკული ორმაგი დუბლი უჩუმრად შემოგვაპარა.



# ოთხი ქართველით ოსაკას გრანდ სლემზე

2019 წლის ძიუდოს მსოფლიო ტურის დასრულებამდე სულ 2 ტურნირი რჩება. ოსაკაში გრანდ სლემის შემდეგ ჩინეთში მასტერსი გაიმართება.

ოსაკას საკმაოდ პრესტიჟული მასტერსი 22 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდება.

ცნობილი გახდა ქართველი ძიუდოისტების ვინაობა, რომლებიც ოსაკაში იასპარეზებენ. 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლაშა შავდათუაშვილი გამოვა, 90 კგ-ში ბექა ღვინიაშვილი და ავთანდილ ჭრიკიშვილი, ხოლო 100 კგ-ში – ვარლამ ლიპარტელიანი.

გასულ წელს ოსაკაში 6 ძიუდოისტით მყოფმა ქართულმა დელეგაციამ არც ისე კარგად იასპარეზა და მხოლოდ უშანგი მარგიანის მე-5 ადგილს დასჯერდა.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მდგომარეობა ჭადრაკში; 2. უდიდესი ნეტარება ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 3. დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ცაზე დაგროვილი შავი, სქელი ნისლი; 4. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო საბჭოთა კავშირში; 10. სამეფო საგვარეულო; 11. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. თეთრი, ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე საიზოლაციო მასალა; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ქვის ხავსი; 17. ცხარე გემოს ფრანგული ყველი; 20. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი.

**თარაზულად**: 6. გულის მუშაობის გრაფიკული გამოსახულება; 7. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 8. პეკინის მეორე სახელწოდება; 9. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 13. რაიონული ცენტრი იმერეთში; 14. ხელოვნური მიკროკლიმატის მქონე აპარატი, რომელშიც ათავსებენ დღენაკლულ ჩვილ ბავშვს; 18. ქართული ხალხური თამაში ბურთით; 19. დენის ძაბვის საზომი ერთეული; 21. უმცროსი მეზღვაური გემზე; 22. სქელი, ტყავისებური ფოთლების მქონე ოთახის მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 23. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 24. სიმღერისა და ცეკვის ქართული ანსამბლი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყვირილა; 2. თუშმალი; 3. პლზენი; 4. შარკო; 5. მუკუზანი; 7. ყრუ; 11. ლუგელა; 15. ქიაჩელი; 16. აფრიკა; 17. კატაი; 18. ფშავი; 20. კასიო; 22. კალა.

**თარაზულად:** 6. ვარაყი; 8. მურტალო; 9. სირტაკი; 10. რაშკული; 12. ყანწი; 13. ოპიზა; 14. ჯარგვალი; 19. გდანსკი; 21. ხანუკა; 23. შაირი; 24. შატილი; 25. პლატინა; 26. რისლინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კინტრიში; 2. ამბიცია; 3. კლოპი; 4. ღერღეტი; 5. სორბონა; 10. გენეტიკა; 11. დენონსაცია; 12. ალუმინი; 15. სეიდებადი; 16. ქლიავი; 17. ალილუა; 20. რაბლე.

**თარაზულად:** 6. ქინძმარაული; 7. ყეენობა; 8. პაიჭაძე; 9. ვერსია; 13. შალე; 14. ნეპალი; 18. ამპლიტუდა; 19. ბლუზი; 21. მახტა; 22. ფიქცია; 23. განდაგანა; 24. სტინგერი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


8 ნოემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.9586

ევრო — 3.2808

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8071

100 რუსული რუბლი — 4.6446

**ამინდის პროგნოზი 8 ნოემბერი**




## ელისაბედ II ნატურალურ ბეწვეულს აღარ ჩაიცვამს



დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ უარი თქვა ნატურალური ბეწვეულისგან დამზადებული სამოსის ტარებაზე. ამის შესახებ დედოფლის პირადმა მრჩეველმა და მისმა მთავარმა მოდელიერმა ანჯელა კელიმ დაწერა საკუთარ წიგნში „მონეტის მეორე მხარე: დედოფალი, მოდელიერი და ტანსაცმლის კარადა“.

სავარაუდოდ, ბრიტანეთის დედოფალი ხელოვნური ბეწვისგან დამზადებული სამოსის ტარებას უკვე მიმდინარე წლის ბოლოს დაიწყებს, როდესაც სიცივეები დაიწყება. ამავე დროს, არ არის ცნობილი, ეს ყოველივე გავრცელდება თუ არა ცერემონიულ სამოსზეც, რომელშიც ნატურალური ბეწვით გაწყობილი ხავერდის მანტიაც შედის. ის დედოფალს 1953 წელს ტახტზე კურთხევის დროს ემოსა.

დედოფლის სტილისტს არ დაუზუსტებია, რით იყო გამოწვეული დედოფლის მიერ ნატურალურ ბეწვეულზე უარის თქმა, თუმცა ცნობილია, რომ ელისაბედ II არაერთხელ გაუკრიტიკებიათ საზოგადოების წინაშე ბეწვის ქურქით გამოჩენისთვის.

ამავე დროს, ცხოველთა დამცველებმა ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას განუცხადეს, რომ დედოფლის ამ გადაწყვეტილებას მიესალმებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ირაკლი მაქაცარია უკრაინაში დააჯილდოვეს




ქართული და უკრაინული „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილე ირაკლი მაქაცარიამ უკრაინაში ელეს პრიზი მოიგო.

ქართველი ტელეწამყვანი უკრაინაში მამაკაცებისთვის დაწესებული ერთადერთი მოდის ჯილდოს ელე მენ ავარდსის ნომინანტი იყო და საუკეთესო ათეულში ირიცხებოდა. ირაკლი ათეულში ცნობილ უკრაინელ მუსიკოსებთან, პოლიტიკოსებთან, ბიზნესმენებთან და შეფმზარეულებთან ერთად მოხვდა.

ირაკლისთვის ხმის მიცემა ინტერნეტით მიმდინარეობდა და ნებისმიერ მსურველს მისთვის ხმის მიცემა მხოლოდ ერთხელ, 6 ნოემბრამდე შეეძლო.

## ნიკა გვარამია მაყურებელს სიახლეს სთავაზობს

„მთავარი არხის“ დამაარსებელი ნიკა გვარამია მაყურებელს სასიამოვნო სიახლეს სთავაზობს:

— პირველად ქართული ტელევიზიების ისტორიაში, რა თქმა უნდა, მთავარ არხზე, ტელეარხს არ ექნება მხოლოდ ე.წ. კაცის ხმა, ჩვენი დიდებული დიმიტრი ტატიშვილი. პირველად სწორედ ჩვენი ტელევიზია დაგელაპარაკებათ ქალის ხმითაც...

ჩვენ ვქმნით ისტორიას...

პ.ს. მალე გაიგებთ, ვინ იქნება პირველი ქალი ქართული ტელევიზიების ისტორიაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 8 ნოემბრისათვის

**ვერძი** — იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** — საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** — კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** — შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** — პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** — კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** — სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** — გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** — ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** — სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** — მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** — სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

სტუდენტური ქორწილია. ერთი სტუდენტი მეორეს ეკითხება:

— პატარძალი რატომ არც ჭამს და არც სვამს?

— ფული არ დაუდია...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— სულ თავს გაგივიდა! ჩემი თანდასწრებით პორნოსაიტზე ხარ შემძვრალი!

— ძვირფასო, ეს შენი გვერდია ინსტაგრამში!

•••

მამაკაცი ქალს ეუბნება:

— ქალებთან მაშინ ვარ თამამი, როდესაც მთვრალი ვარ.

ქალმა ხელჩანთა გახსნა და არყის ბოთლი და ჭიქა გაუწოდა...

•••

გინეკოლოგთან მიღებაზე რიგია. ამ დროს ქალმა მოირბინა და რიგში მყოფებს ეუბნება:

— მე მხოლოდ უნდა ვკითხო!

— ჩვენ კი მხოლოდ უნდა ვანახოთ! — უპასუხა ერთ-ერთმა.

•••

უფროსი ხელქვეითს ეკითხება:

— რატომ დააგვიანეთ სამსახურში?

— და თქვენ რატომ გვიგვიანებთ ხელფასს?

— ჰო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ხომ გაძლევთ.

— ჰოდა, მეც ხომ მოვედი სამსახურში...

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

— რითი განსხვავდება ქალი ქათმისგან?

— ქათამი თავის კვერცხებზე ჯდება.

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

— ძვირფასო, ჩემზე ფიქრობ?

— არა, შენთვის ვფიქრობ.

## ტომას ტუხელმა ბაიერნს უარი უთხრა



მიუნხენის ბაიერნი დროებით მწვრთნელის გარეშეა მას შემდეგ, რაც ნიკო კოვაჩი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ბაიერნმა უკვე რამდენიმე სპეციალისტს შესთავაზა ვაკანტური თანამდებობა და ერთ-ერთი მათგანი ტომას ტუხელია, რომელიც ამჟამად პსჟ-ს უდგას სათავეში.

ტუხელმა უარი განაცხადა, რადგან ადრე ის დორტმუნდის ბორუსიაში მუშაობდა, რომელიც ბაიერნის პრინციპული მეტოქეა.

ბაიერნი ჟოზე მოურინიოს კანდიდატურასაც განიხილავს, თუმცა ამ უკანასკნელს ეს არ დაუდასტურებია.

## დიეგო სიმეონე: „ბაიერთან წაგება ჩემი ბრალია“



მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ ატლეტიკოსთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდი საკმარისად არ იყო მზად და ეს მხოლოდ მწვრთნელის ბრალია:

— თავიდანვე თამაში არასწორად დავიწყეთ და მეტოქეს მივეცით საშუალება, უპირატესობა მიეღო. მეორე ტაიმში შევეცადეთ, მდგომარეობა გამოგვესწორებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელით. ამ წაგებაზე პასუხისმგებლობას მე ვიღებ და შემდეგ შეხვედრებში გულშემატკივარს უკეთეს თამაშს ვპირდები.

ბაიერთან ატლეტიკო 1:2 დამარცხდა.

## უგო ლორისი თებერვალში დაბრუნდება



ტოტენჰემის ფრანგი მეკარე უგო ლორისი, სავარაუდოდ, მოედანს თებერვლის დასაწყისში დაუბრუნდება.

ლორისმა ბრაიტონთან შეხვედრაში იდაყვის საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსი დასირდა, თუმცა თავდაპირველად ტრავმა უფრო სერიოზული ეგონათ.

ლორისი უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან და დეკემბერში ის მსუბუქად ვარჯიშს დაიწყებს. ტოტენჰემის მწვრთნელმა მოურისიო პოჩეტინომ განაცხადა, რომ მოუთმენლად ელის ლორისის დაბრუნებას.

## პსჟ მბაპეს გაშვებას არ აპირებს



პსჟ თავისი ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავის კილიან მბაპეს გაყიდვას არ აპირებს.ამის შესახებ პარიზული გუნდის სპორტულმა დირექტორმა ლეონარდომ ისაუბრა.

ლეონარდოს თქმით, მას აღიზიანებს ჭორები ამ თემასთან დაკავშირებით და პსჟ-ს პოზიცია ყველასთვის გასაგები უნდა იყოს.

— არ მესმის, რატომ საუბრობენ იმაზე, რომ მბაპე ჩვენს გუნდს დატოვებს. მინიმუმ რამდენიმე წელიწადი ეს არ მოხდება და მსურს, ამ თემაზე ჭორები აღარ გავრცელდეს, — თქვა ლეონარდომ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## გიორგი ხარაიშვილი: „გატანილი ბურთი ისე ვერ აღვნიშნე, თუმცა გულში ძალიან გამიხარდა“

შვედეთში რამდენიმე დღის წინ დასრულდა პირველობა, ქართველი ნახევარმცველი გიორგი ხარაიშვილი ადგილობრივებმა სეზონის საუკეთესო თერთმეტეულში შეიყვანეს.

ხარაიშვილი ბოლო პერიოდში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაშია გამოძახებული.

***— გიბრალტარის ნაკრების წინააღმდეგ მიღებული ტრავმის შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?***

— მსუბუქი ტრავმა მქონდა, ახლა ყველაფერი კარგადაა. იმ შეჯახების შემდეგ გიოტებორგის შემადგენლობაში რამდენიმე მატჩი ვითამაშე.



***— გახსოვთ შეჯახების მომენტი?***

— როდესაც მოწინააღმდეგეს შევეჯახე, მის მერე არაფერი მახსოვს. როდესაც ექიმებმა გონზე მომიყვანეს და ირგვლივ ბევრი ადამიანი დავინახე, მივხვდი, რომ რთულად იყო საქმე. ცოტა შემეშინდა კიდეც. თუმცა, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა.

***— ამ მატჩში ტრავმამდე თქვენს კარიერაში ისტორიული ფაქტი მოხდა — ქვეყნის ეროვნულ გუნდში პირველად ითამაშეთ ძირითად შემადგენლობაში, სადაც სადებიუტო გოლიც გაიტანეთ. როგორ გაიხსენებთ ამ ყველაფერს?***

— გამიხარდა, რომ სასტარტო შემადგენლობაში დავიწყე თამაში. ამავდროულად, სადებიუტო გოლიც გავიტანე. გატანილი ბურთი ისე ვერ აღვნიშნე, თუმცა გულში ძალიან გამიხარდა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 2. ვინმეს რწმუნებულების დამადასტურებელი დოკუმენტი; 3. რეგიონი კახეთში; 4. ბრაზილიური ცეკვა; 5. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 7. ავსტრალიური სირაქლემა; 11. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 15. მზეზე მიმდინარე აფეთქების პროცესი; 16. ორგულობა, გამცემლობა; 17. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 18. უმთვარო, ბნელი ღამე; 20. მდინარე ლონდონში; 22. პოლონეთის პრეზიდენტი.

**თარაზულად**: 6. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 8. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 9. არისტოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების სახელწოდება ძველად; 10. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 12. საჭმელი სოკო; 13. უმარტივესი ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხოველი; 14. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 19. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 21. აეროპორტი ტოკიოში; 23. ფულის ერთეული ირანში; 24. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 25. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 26. თეთრყურძნოვანი ვაზის პორტუგალიური ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის ღვინოს.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*